ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 14 თებერვალი, 2019 №37 (7892) ფასი: 60 თეთრი



გვ.3

## რა წერია მამა გიორგი მამალაძის სკანდალურ წერილში

14 თებერვლიდან

ქართული დეტექტივი

ავთანდილ ბუხრაშვილი

ქალი ჩანთაში




ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

# „კალაძე და სააკაშვილი ერთ თამაშს თამაშობენ“





გვ.2

## ლადო სადღობელაშვილი: „რაც „ქართულ ოცნებაში“ ხდება, მაგას გუნდურობა კი არა, გრუპავუხა ჰქვია“






## ნაზი ჯანეზაშვილი: „ჩინჩალაძისნაირი ადამიანები არ უნდა ავიტანოთ“

გვ.3

## თინა ხიდაშელი: „ჩემი მინისტრობისას რუსულ რბილ ძალასთან საბრძოლველად სტრატკომი შეიქმნა, რაც იზორიამ გააუქმა“

გვ.4



## უპრეცედენტო ფასდაკლება ყველაზე მოთხოვნად პროდუქტებზე

## „ნიკორა სუპერმარკეტის“ აქცია მომხმარებლებს




14 თებერვალს, მხოლოდ ერთი დღით, „ნიკორა სუპერმარკეტი“ ლიბერთი ბანკის სოციალური ბარათის მფლობელებს, ყველაზე მოთხოვნად პროდუქციაზე უპრეცედენტო ფასდაკლებას შესთავაზებს. აქცია ვრცელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

„ნიკორა სუპერმარკეტის“ და „ლიბერთის“ ერთობლივი პროექტი სექტემბრის თვიდან დაიწყო ჩვენს ქსელში. ამ პროექტის ფარგლებში სოციალური ბარათის მფლობელებისთვის ასობით დასახელების, ყველაზე მოთხოვნად პროდუქტებზე სპეციალური ფასები შემუშავდა, რაც ბაზარზე არსებულ ფასებთან შედარებით ბევრად დაბალია. პროექტის მიმართ ინტერესი და კმაყოფილება სოციალური ბარათის მფლობელებისგან იმდენად მაღალია, რომ მივიღეთ გადაწყვეტილება, მათთვის ყველაზე სასურველ 4 დასახელების პროდუქტზე, შევთავაზოთ უპრეცედენტოდ დაბალი ფასი. 14 თებერვალს, მხოლოდ ერთი დღით: ზეთის, კვერცხის, ქათმის და შვრიის ფანტელის შეძენას, სოციალური ბარათის მფლობელები ყველაზე დაბალ ფასად შეძლებენ. ვურჩევთ ყველას, ვინც სოციალური ბარათით სარგებლობს, არ გამოტოვოს ეს დღე და ისარგებლოს საუკეთესო შეთავაზებით, – განაცხადა „ნიკორა სუპერმარკეტის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ანა კოშაძემ.

მომხმარებელზე ზრუნვა ლიბერთის სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის პრიორიტეტს წარმოადგენს. 2018 წლის სექტემბრიდან, ლიბერთის სოციალური ბარათის მფლობელები, მათ შორის პენსიონერები და სოციალური დახმარების მიმღები პირები, „ნიკორა სუპერმარკეტის“ ნებისმიერ ობიექტზე, ყველაზე მოთხოვნად 350-მდე დასახელების პროდუქტზე საუკეთესო ფასით ყოველდღიურად სარგებლობენ.



## თორნიკე შარაშენიძე: „ოცნებას“ ეს ყველაფერი სიდებილით მოსდის“

გვ.3

**სამართალი**



## ანზორ აბრალავა: „ჩემს შვილს ბრალი არ უმტკიცდება“

გვ.7

## გოგიტა ირემაძე სიკვდილის წინა დღეს დახმარებას ითხოვდა



„საკუთარ სისხლში აბანავა და მოკლა მისივე გაზრდილი დისშვილი“

**ეკონომიკა**

გვ.6

## მთავრობა გრიგოლეთში, ურეკსა და ფოთში აზარტული თამაშების ბიზნესის განვითარებას გეგმავს



## გენგეგმა, ელიავას ბაზრობა და გაუხმაურებელი სასამართლო პროცესები

ISSN 1987-9385

## 5 ჯუმბერ თავართქილაძე: „ივანიშვილი პოლიტიკიდან უნდა წავიდეს“

## 5 გალელებს ეროვნებას და გვარებს უცვლიან

# „კალაძე და სააკაშვილი ერთ თამაშს თამაშობენ“

## ლადო სადღობელაშვილი: „რაც „ქართულ ოცნებაში“ ხდება, მაგას გუნდურობა კი არა, გრუპავუხა ჰქვია“







შორენა მარსაგიშვილი

**რა ხდება მმართველ პარტიაში, რას ვერ იყოფენ ბესელია და კალაძე, ვინ დატოვებს „ოცნებას“, ვისი დავალებით ხვდება მედიაში ხელისუფლების წევრებზე სკანდალური ინფორმაციები? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამოქალაქო აქტივისტი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.**

**ლადო სადღობელაშვილი:**

– ქვეყანაში და მმართველ პარტიაში ძალიან საინტერესო ამბები დაიწყო. მოსამართლეების გარშემო ატეხილ სკანდალს კიდევ ბევრი სკანდალი მოჰყვება. ახლა ყველაზე აქტუალური ვანო ზარდიაშვილის ცოლისძმის და მისი თანაშემწის ამბავია. არც ერთ მედიასაშუალებას არ უხსენებია, რომ დეპუტატის ცოლისძმასთან ერთად დაკავებული გიორგი კიკნაძე ახლო წარსულში ზარდიაშვილის თანაშემწე იყო.

მედიას ყურადღება არც ვანო ზარდიაშვილის სიმამრის, ანზორ აბრალავას კომენტარზე გაუმახვილებია. ანზორმა ძალიან საინტერესო რამ თქვა, მან აღნიშნა, რომ მისი შვილი მეგობრებთან ერთად პოლონეთში იმყოფებოდა, რათა მიშა სააკაშვილისთვის კოსტუმი შეერჩიათ.

***– ეს განცხადება რით არის საინტერესო?***

– ამით აბრალავამ ის მიზეზი დაასახელა, თუ რატომ იყვნენ ეს ტიპები ევროპაში წასული. ისინი ევროპაში იმიტომ წავიდნენ, რომ ევროპის შუაგულში, სააკაშვილისთვის მხეცურად ჩაეშალათ შეკრება. რეალურად რომ ვთქვათ, ეს ადამიანები პარტიულ მივლინებაში იმყოფებოდნენ.

***– ნორვეგიაში ჩასვლაც პარტიული მივლინების ნაწილი იყო? ეს ადამიანები ნორვეგიაში დააკავეს.***

– „ოცნებამ“ ბელგიაში დიდი დესანტი გადასხა და ეტყობა, ამათი დახმარება აღარ დასჭირდათ და გამოუშვეს. საქართველოში დაბრუნების ნაცვლად ნორვეგიაში გაემგზავრნენ, სადაც ციხეში აღმოჩნდნენ.

წარმოიდგინეთ, რამხელა სირცხვილია, როცა ასეთი გავლენიანი დეპუტატის ნათესავს ევროპაში ქურდობის ბრალდებით აკავებენ.

***– ზარდიაშვილის მიმართ დადებითად სულაც არ ვარ განწყობილია, მაგრამ მისმა ცოლისძმამ რამე თუ დააშავა, თავად რა შუაშია?***

– გრიგოლ აბრალავასთან ერთად დაკავებულია გიორგი კიკნაძეც, რომელიც, როგორც უკვე გითხარით, ზარდიაშვილის თანაშემწე იყო.

ის, რაც ნორვეგიაში მოხდა, არის საქართველოს სირცხვილი და ქართული პოლიტიკის სახე. ამ ფაქტითაც ნათელი გახდა, თუ როგორ ადამიანებს ასაქმებენ ხელისუფლების წარმომადგენლები.

ძალიან საინტერესოა ისიც, თუ როგორ მოხდა ამათი დაკავების გაბაზრება. ინფორმაცია ამ პირების დაკავების შესახებ პირველი ეცოდინებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, შეიძლება სუსმა იცოდა. ამას ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელოვანი ისაა, თუ როგორ გაიგო ამის შესახებ რუსთავი 2-მა.

***– სანდრო წყარომ აცნობა მათ ამის შესახებ.***

– მე ვიტყოდი, რომ ეს ინფორმაცია საგანგებოდ მიაწოდეს რუსთავი 2-ს. ასე მოხდა მელორ ვაჩნაძის შემთხვევაშიც. გერმანიაში მასაც რაღაცის მოპარვას აბრალებდნენ.

ჩემი დაკვირვებით, ძალოვანი სტრუქტურები მედიას სკანდალურ ინფორმაციებს იმ ადამიანებზე აწვდიან, ვისი ჩაძირვაც და დისკრედიტაციაც უნდათ. ამ შემთხვევაში ხელისუფლების წარმომადგენლებს ვგულისხმობ.

***– ახლა ზარდიაშვილის გაფუჭებას ვიღაცა ცდილობს?***

– სწორედ რომ ზარდიაშვილის ჩაძირვა მიმდინარეობს. მანამდე ეკა ბესელიაზე მიდიოდა შეტევა.

***– ზარდიაშვილის ჩაძირვა ვის უნდა? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ის ირაკლი კობახიძის გუნდშია, იქნება თუ არა შემდეგი სამიზნე პარლამენტის სპიკერი?***

– მე ვერ ვიტყოდი, რომ ზარდიაშვილი კობახიძის კლანს წარმოადგენს. ვერც იმას დავიჯერებ, რომ კობახიძის გუნდმა გაუვრცელა ეკა ბესელიას ის კადრები. ეს ხალხი ერთმანეთს ვერ იტანს, მაგრამ პარლამენტის თავმჯდომარეს ამის გაკეთება არაფერში აწყობდა. ისინი ისედაც უგებდნენ ეკა ბესელიას და არაფერში სჭირდებოდა, რომ ანგარიში 11:0 გამხდარიყო. ჩემი აზრით, ეს კადრები სპეცსამსახურებმა გამოყარეს.

***– რომელი ქვეყნის სპეცსამსახურებმა?***

– ჩვენმა სპეცსამსახურებმა. სპეცსამსახურებში უტვინო ხალხი არ ზის და მათ კარგად იციან, რა მოხდება, ბესელიას ან ზარდიაშვილს თუ ჩაუვარდება ხელში დიდი ძალაუფლება.

***– რა მოხდება?***

– რა მოხდება და ქვეყანას გადადგამენ. ამიტომ ჯერ ერთს დაარტყეს და ჩაძირეს, ხოლო ცოტა ხანში იგივე გაუკეთეს მეორესაც.

---

**გინდათ გითხრათ, რატომ გააქტიურდა ლევან გოგიჩაიშვილი? მან იცის, რომ ეკა ბესელიას გადადგომის შემდეგ, მისი პოლიტიკური მზეც ჩაესვენება. ის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ რომ აერჩიათ, ხმასაც არ ამოიღებდა.**

---

ეს ყველაფერი რაღაც თამაშს ჰგავს. ამ თამაშმა ის ხალხი უნდა გამოაჩინოს, ვინც მმართველ პარტიას დატოვებს.

ჩემი აზრით, „ქართული ოცნება“ ეკა ბესელიამ, ლევან გოგიჩაიშვილმა, ბექა ნაცვლიშვილმა და მათმა თანამოაზრეებმა უნდა დატოვონ.

***– ბექა ნაცვლიშვილი და ლევან გოგიჩაიშვილი რომ „ოცნებას“ დატოვებდნენ, ამაზე თქვენ ერთი წლით ადრე საუბრობდით. მაშინ ბესელია ძალიან მყარად იჯდა თავის სკამზე და არც ზარდიაშვილს აყრიდა ქოქოლას.***

– ბესელია იმიტომ გამწარდა, რომ კახა კალაძესთან მოუვიდა სერიოზული უთანხმოება. ისეთი დაპირისპირებული არიან, რომ ამას აღარც კი მალავენ. ერთმანეთს მენტორული ტონით ესაუბრებიან.

კალაძე დაუპირისპირდა სხვა ამბოხებულებსაც. მან ხაზგასმით აღნიშნა, კარი ღიაა და ვისაც პარტიიდან წასვლა გინდათ, მიბრძანდითო. ამ განცხადების შემდეგ მეეჭვება, ამბოხებულებმა კიდევ დიდხანს გაძლონ „ოცნებაში“.

დღევანდელი ამბოხებულები უკვე დიდი ხანია, რაც თბილისის მერთან არიან დაპირისპირებული, რომელიც ამავე დროს პარტიის გენერალური მდივანია.

მაქსიმუმ შემოდგომაზე „ოცნებიდან“ წამოსულები ახალ პარტიას გააკეთებენ. მათი დამახასიათებელი იქნება გამოკვეთილი ანტინაციონალური განწყობა.

***– „ოცნებაში“ ნაცების მიმართ ლოიალურად განწყობილები დარჩებიან?***

– არც უმაგისობა იქნება. მმართველ გუნდში ბევრია ისეთი ხალხი, ვინც თავის დროზე ნაცებთან კარგად ვასვასებდა და ბიზნესებს ალაგებდა.

ესენი არ არიან პოლიტიკოსები, ესენი არიან ჩვეულებრივი მედროვეები, რომლებიც ყველაფერზე მოაწერენ ხელს, ოღონდ კი კარგად იყვნენ.

გინდათ გითხრათ, რატომ გააქტიურდა ლევან გოგიჩაიშვილი? მან იცის, რომ ეკა ბესელიას გადადგომის შემდეგ, მისი პოლიტიკური მზეც ჩაესვენება. ის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ რომ აერჩიათ, ხმასაც არ ამოიღებდა.

„ოცნების“ ლიდერებს ასეთი სტრატეგია აქვთ შერჩეული – რაღაც ფიგურები უნდა დათმო, რომ მოიგო. ეს არის და ეს. ამიტომ წირავენ თანაგუნდელებს. ივანიშვილი თავის თავს ეთამაშება ჭადრაკს. რამდენიმე ფიგურა მოიცილა, ახლა სხვებს მიადგება.

***– ზარდიაშვილიც მოიცილა თუ ვერა?***

– ზარდიაშვილის მოცილება გამორიცხულია.

***– არ უნდა თუ არ შეუძლია?***

– ვერ მოიცილებს. ის არის მოსამართლეების კადრი. მას მოსამართლეები უჭერენ მხარს.

***– ზემოთ თქვენ თქვით, რომ იმ ჩინოსანზე იწყება მედიით შეტევა, ვისი ჩაძირვაც გადაწყვეტილია. ახლა კალაძის წინააღმდეგ ვრცელდება სკანდალური ინფორმაციები. თბილისის მერსაც ძირავენ?***

– ვიღაცებს აქვს მისი ჩაძირვის ინტერესი. ივანიშვილს არ უყვარს, როცა ვიღაცის რეიტინგი სხვებზე ბევრად მაღლა იწევს. ის მხოლოდ საკუთარ მაღალ რეიტინგს ეგუება. დანარჩენებს აუთოებს. გასაუთოებლად მედიას იყენებს. როგორც კი ვინმე თავს წამოწევს, მედიაში მის წინააღმდეგ ეგრევე ჩნდება რაღაც ინფორმაციები.

თქვენ მკითხეთ, მიდის თუ არა კალაძის ჩაძირვა. ეს პროცესი მიდის, მაგრამ, ამავე დროს, მისი წამოწევაც ხდება. თქვენ რა გგონიათ, სააკაშვილი მის გვარს ტყუილად ახსენებს? რამდენჯერაც გამოვარდება ტელევიზორით, იმდენჯერ კალაძეს ლანძღავს. ეს შემთხვევითი არ არის და არც კალაძის გაშავებას არ ემსახურება.

***– აბა რას ემსახურება?***

– რას ემსახურება და კახა კალაძისთვის რეიტინგის აწევას. მე მგონია, რომ მიშა და კალაძე ერთ თამაშში არიან.

***– რას ნიშნავს ერთ თამაშში არიან?***

– ეს ადამიანები წლების მანძილზე ბიზნეს-პარტნიორები იყვნენ და მათი საქმიანი ურთიერთობა დღემდე გრძელდება. არც ის დავიწყებია ხალხს, რომ თბილისის მერი ახლო წარსულში მიშას ფანკლუბში იყო.

ქვეყანაში ძალიან საინტერესო თამაშები მიდის და ამ თამაშობებში არსად ჩანს შს მინისტრი გახარია.

***– გიორგი გახარია რაღაც საეჭვოდ არის გატრუნული. ბავშვები ასეთ დროს რაღაცის გაფუჭებას გეგმავენ. გახარიაც აპირებს რამის გაფუჭებას?***

– ბიძინას ხელში გახარია ძალიან საინტერესო ფიგურაა. ის იმათაც და ამათაც ერთნაირად უყურებს.

***– იმათაც და ამათაცში ნაცებს და ქოცებს გულისხმობთ?***

– არა, „ოცნების“ ორ ფლანგს – ამბოხებულებს და წყნარად მყოფებს. შს მინისტრი არც ერთი მხარისკენ არ არის.

***– არც „ოცნებაა“ მაგის მხარეზე.***

– მაგისკენაც არავინ არ არის. ტიპი თავისთვის არის, მაგრამ ეს ხელს არ უშლის იმაში, რომ თავისი საქმე აკეთოს. ყველა ძალოვანი სტრუქტურა მან დაიმორჩილა. ერთი თავდაცვის სამინისტროღა დარჩა და მალე მაგასაც გააკონტროლებს.

ივანიშვილი მიხვდა, რომ არ შეიძლება მთელი ძალაუფლება ერთ ადამიანს ჩაუგდოს ხელში. ეს ძალაუფლება მან სამ ადამიანზე გადაანაწილა. ფინანსებს მაია ცქიტიშვილი და მამუკა ბახტაძე გააკონტროლებენ, ძალოვნებს – შს მინისტრი.

„ოცნების“ ლიდერი ამ გადანაწილების ამბავში ძალიან სწორად მოიქცა. არაა აუცილებელი, ყოველ წელს ცვალოს პრემიერები. ამ ცვლილებებით უცხოელი ინვესტორები გადარეულები არიან.

---

**მე ვერ ვიტყოდი, რომ ზარდიაშვილი კობახიძის კლანს წარმოადგენს. ვერც იმას დავიჯერებ, რომ კობახიძის გუნდმა გაუვრცელა ეკა ბესელიას ის კადრები. ეს ხალხი ერთმანეთს ვერ იტანს, მაგრამ პარლამენტის თავმჯდომარეს ამის გაკეთება არაფერში აწყობდა. ისინი ისედაც უგებდნენ ეკა ბესელიას და არაფერში სჭირდებოდა, რომ ანგარიში 11:0 გამხდარიყო. ჩემი აზრით, ეს კადრები სპეცსამსახურებმა გამოყარეს.**

---

ბახტაძე დარჩება პრემიერად, გახარია შს მინისტრად და არავინ მას არ შეეხება. ეს კაცი მშვენიერი თანამედროვე ბერია იქნება, რომელიც ივანიშვილის ყველა ბინძურ დავალებას შეასრულებს.

ამ დავალებებს აქამდე კარგად ასრულებდა, მაგრამ ახლო მომავალში შეიძლება ძალიან გაუჭირდეს.

***– რატომ გაუჭირდება?***

– ნაციონალები სერიოზულად ემზადებიან.

***– რისთვის ემზადებიან?***

– აქციებისთვის. ხედავთ ალბათ, რომ თბილისში კარვების რაოდენობა იზრდება. მომავალში აქციების კიდევ ბევრი ლოკაცია გაჩნდება, რაც ერთ დიდ საპროტესტო მუხტში გადაიზრდება.

ამას დაემატება „ოცნების“ შიგნით არეულობა. ამათი გაერთიანება უკვე გამორიცხულია. სულ ხაზს უსვამენ თავიანთ გუნდურობას. არადა, რაც „ოცნებაში“ ხდება, ეგ გუნდურობა კი არა, გრუპავუხაა. ეგ ერთმანეთის გატანა კი არა, ერთმანეთის გაჟიმვაა, ოღონდ პოლიტიკურად.

მკითხველთან ბოდიშს ვიხდი, ასეთ რამეს რომ ვამბობ, მაგრამ ასეთია რეალობა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რა წერია მამა გიორგი მამალაძის სკანდალურ წერილში

შორენა მარსაგიშვილი



ციანიდის სკანდალი გრძელდება. დაკავებული დეკანოზის ძმას და მეგობრებს საპატრიარქოსთან კარვები აქვთ გაშლილი. ისინი მამა გიორგის ზიარებას და გათავისუფლებას ითხოვენ.

თავად მამა გიორგი ციხიდან სკანდალურ წერილს აგზავნის. ეს წერილი მან მეუფე პეტრეს გამოუგზავნა. მეუფე პეტრე ერთ-ერთი პირველი იყო მღვდელმთავრებიდან, ვინც მამა გიორგი საპატიმროში მოინახულა. ის თავიდანვე აცხადებდა, რომ მამა გიორგი უდანაშაულო იყო.

ჭყონდიდელი მიტროპოლიტისთვის მიწერილი სკანდალური წერილის დეტალებზე მედიას თორნიკე მამალაძემ უამბო.

დეკანოზის ძმის თქმით, მამა გიორგის წერილში პატრიარქის ოჯახის წევრების, კონკრეტულად კი, მისი დის ბიზნესზეა საუბარი.

თორნიკე მამალაძის თქმით, პატრიარქის და ფლობს საეკლესიო ხატების, ნივთების, სანთლების ბიზნესს, რისი გარკვევაც მამა გიორგი მამალაძემ დაკავებამდე დაიწყო.

დეკანოზის ძმა ამბობს, რომ როცა ეს ამბავი ილია II-ემ გაიგო, ძალიან გაბრაზდა.

მამა გიორგის წერილის შინაარსი საიდუმლოა. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მიმართვას 4 ადრესატი ჰყავს.

დეკანოზის წერილი მეუფე პეტრეს გარდა, მეუფე ანდრეა გვაზავას, მეუფე დიმიტრი შიოლაშვილს და მეუფე დავით ალავერდელს მიუვიდა.

— ამ წერილში საუბარია, მე როგორც ვიცი, პატრიარქის ოჯახის წევრებზე, კონკრეტულად დაზე, რომელიც ფლობს ბიზნესებს. ბიზნესებს ფლობს საეკლესიო ხატების, ნივთების, სანთლების ბიზნესს. როდესაც ჩემი ძმა თავისუფალი იყო, პატრიარქთან არაერთხელ ჰქონდა ამაზე საუბარი და დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, რაზეც პატრიარქი ძალიან გაბრაზდა, რომ ჩემმა ძმამ ბიზნესების გარკვევა დაიწყო და პატრიარქის ოჯახს შეეხო, — ამბობს თორნიკე მამალაძე.

განმარტებები გააკეთა მეუფე პეტრემაც. ციანიდის სკანდალზე საუბრისას ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა ახსენა ტერმინი საეკლესიო ბედუკაძეობა. რასაც სოციალურ ქსელში დიდი წიოკი მოჰყვა.

ამ წიოკს ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა გამოეხმაურა და ერის ნაწილს აღქმის უნარი დაუწუნა.

— აბა, კარგად მომისმინეთ.... როგორც ჩანს, საზოგადოებას მოსმენილის გააზრების პრობლემა აქვს. მეუფე პეტრეს მიერ დეკანოზ მამალაძესთან მიმართებაში გაკეთებულ განცხადებას ვგულისხმობ. როგორც ჩანს, საზოგადოებისთვის მღვდელმთავრის მეტყველების სხვა სტანდარტია მისაღები და გასაგები. ბოდბელი და სხალთელი ეპისკოპოსების საჯარო განცხადებები სრულ თანხვედრაშია ჩვენი საზოგადოების ნაწილის აზროვნებასთან და გემოვნებასთან. მაგრამ რადგან ისეთ ადამიანებსაც აღმოაჩნდათ პრობლემა მეუფე პეტრეს ნათქვამის გააზრებისა, რომელთაგანაც ამას არ ველოდი, სწორედ მათთვის არის განკუთვნილი ეს ტრანსკრიპტი: მეუფე პეტრემ ბრძანა: დეკანოზის სულიერი მდგომარეობა ციხეში რაღაც ეტაპზე დამძიმდა და წერილი გამოაგზავნა, რომლითაც პატრიარქის დაშანტაჟებას აპირებდა. სწორედ ეს მიაჩნია მეუფე პეტრეს საეკლესიო ბედუკაძეობად, რადგან მან დააშანტაჟა სისტემა, რომლის ნაწილიც თვითონ იყო და რომლის მანკიერებებს ის თავად უწყობდა ხელს.

მეუფეს მიაჩნია, რომ შანტაჟი არ არის სათნო საქციელი, რა მიზანსაც არ უნდა ისახავდეს ის. მეუფემ თქვა, რომ მიუხედავად დეკანოზის ცუდი საქციელისა, პატრიარქს, მის მიმართ უპირობო სიყვარული და შემწყნარებლობა უნდა გამოეჩინა, როგორც კეთილ მწყემსსო, — წერს გოჩა მირცხულავა სოციალურ ქსელში.

# თორნიკე შარაშენიძე: „ოცნებას“ ეს ყველაფერი სიდებილით მოსდის“

## „რა საჭირო იყო ლიეჟში სააკაშვილის მხარდამჭერებთან მივარდნა, იქნებ ამიხსნას ვინმემ!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.



***— ბატონო თორნიკე, თქვენთვისაც კარგადაა ცნობილი ბელგიის შეხვედრის დეტალები. ეშინია ხელისუფლებას და ამიტომ მოაწყო პროვოკაციაო. თქვენ რას იტყვით?***

— რა გითხრათ, მე ამ ქმედებას რაციონალურად ვერ ვხსნი. არაფერში არ ჯდება ეს მივარდნა, ისტერიკა, საერთოდ ვინ დაგეგმა და მოიფიქრა?! ორი კვირის წინ დიდი ამბავი იყო ატეხილი იმაზე, რომ, მაგალითად, 18 ათასი ლარი გადაიხადა საზმაუმ იმაში, რომ გაკეთებულიყო საზმაუს გადაცემების მონიტორინგი და მეც ვიყავი ჩართული ამაში. მერე არ მოეწონათ ანგარიში, კრიტიკული იყო და ატეხეს ერთი ამბავი, რა ამბავია ეს ფულიო.

მე მაინტერესებს, რა დაჯდა ამ „ვაჟკაცების“, ამ პროვოკატორების მივლინება ლიეჟში? ვინ გადაიხადა ეს თანხა? რაში იხარჯება ამდენი ფული, ამ მარაზმში?! რომელმაც საბოლოო ჯამში სააკაშვილს არგო.

მიშამ ხალხი აშკარად ვერ შეკრიბა, დარბაზი ვერ გაავსო, მაგრამ ეს გადაიფარა ამ პროვოკაციით. ამიტომ მე რაციონალურად ვერ ვხსნი ასეთ ნაბიჯებს. ვერაფრით გავიგე, რას აკეთებს „ოცნება“.

***— საკუთარ თავს უთხრის სამარეს?***

— უნდათ თუ არ უნდათ, ასე გამოსდით. იგივე ხდებოდა 2013-14 წლებში, ღარიბაშვილი მიუქსევდა ხოლმე, დაგეშილები ჰყავდა ამისთვის მელორ ვაჩნაძე და ლადო სადღობელაშვილი. მერე დამშვიდდნენ ერთი პერიოდი.

***— ახლა რით იყო გამოწვეული?***

— არ ვიცი, შეიძლება იმით, რომ „ქართული ოცნება“ ახლა სუსტია და ამიტომ პანიკაშია.

***— ეჭვიც გაჩნდა, რომ ვიღაც „ოცნებიდან“ მიზანმიმართულად მუშაობს ნაციონალებზე. რას იტყვით?***

— მე უფრო მგონია, რომ ეს სიდებილით მოსდით და არა განზრახ აკეთებს ვინმე. როცა ამის ახსნას ცდილობ, რაც დღეს ქართულ პოლიტიკაში ხდება, პირველ რიგში ახსნა უნდა ეძებო სიდებილეში და მერე — რაღაცა ვერაგ განზრახვებში.

***— რატომ არ გამოსდით არაფერი? ყოველთვის უკუშედეგს რატომ იღებენ?***

— იცით, რაშია საქმე? თუ არ განვითარდები, ეს მარაზმი ყველას დაემართება — ჩაკეტვა საკუთარ თავში, ჭკვიან ადამიანებს გზას ულობავენ და ბოლოში რჩებიან შიგნით ოროსნები, რომლებიც ხუთოსნები არიან მხოლოდ ერთ რამეში — უფროსის ერთი ადგილის ლოკვაში. დანარჩენი, ყველაფერში ოროსნები არიან.

მერე ეს ოროსნები თავიანთ ჭკუაში ალაგებენ პოლიტიკას. როგორ ალაგებენ, ჩვენ ყველამ ვნახეთ და, სამწუხაროდ, დიდი ეჭვი მაქვს, რომ კიდევ ვნახავთ, კარგის მოლოდინი ნამდვილად არ მაქვს.

***— თავად სააკაშვილზე რას იტყვით? ბოლო პერიოდში საგრძნობლად გააქტიურდა.***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ნაზი ჯანეზაშვილი: „ჩინჩალაძისნაირი ადამიანები არ უნდა ავიტანოთ“

ნათია ხურცილავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი ნაზი ჯანეზაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

***— ქალბატონო ნაზი, პარლამენტის ერთმა ჯგუფმა, ბესელიას ხელმძღვანელობით, კანონპროექტი შეიმუშავა, რომელიც პირველ ინსტანციაში მოსამართლეთა უვადოდ გამწესების პროცესს აჩერებს, რაც მოსამართლეთა კორპუსს არ მოეწონა. კანონპროექტის არაკონსტიტუციურობაზე საუბრობს „ოცნების“ მეორე ნაწილი, მაგალითად, ზარდიაშვილი. რა შეგიძლიათ გვითხრათ?***

— პირველ რიგში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უკვე ჩანიშნა უვადოდ დასანიშნ მოსამართლეთა კენჭისყრა.

რაც შეეხება პროექტს, დეტალები სადისკუსიოა, ბევრი ნიუანსია, მაგრამ ეს არის პოლიტიკური ნების საკითხი: უნდა ხელისუფლებას თუ არა ძირეული ცვლილებები?! უნდა თუ არა ხელისუფლებას რეფორმები?! რამდენად არის მზაობა, რომ ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. თუ ხელისუფლება ამ მიმართულებით წავა, მაშინ უკეთესი პროექტებიც შეიძლება დაიწეროს, მაგრამ დასაწყისისთვის კარგია, რათა დისკუსია დაიწყოს.

***— როდესაც „ოცნების“ დეპუტატებს ამ საკითხზე ვესაუბრები, ლიდერებიც ამბობენ, რომ მათ არ აქვთ მექანიზმი ამ ხალხის სასამართლოდან გასაშვებად, რადგან მათ კანონი იცავს. თქვენ რა კონტრარგუმენტი გაქვთ?***

— და კანონებს ხომ დეპუტატები წერენ?! პარლამენტს შეუძლია ბევრი ისეთი გადაწყვეტილების მიღება დემოკრატიულ ჩარჩოში, რომელიც ამ პროცესს გააჯანსაღებს.

ჩვენ უნდა გავაანალიზოთ, გატარებულმა რეფორმებმა რა შედეგები მოგვიტანა, ამას ხელისუფლება ვერ გაექცევა. ასევე უნდა გავაანალიზოთ, მოსამართლეთა ის კორპუსი, რომელიც დღეს სისტემაშია, უზრუნველყოფს თუ არა ეფექტიან მართლმსაჯულებას. ასევე, ხელისუფლებამ უნდა აღიაროს, დღეს მართავს თუ არა სისტემას კლანი.

უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებამ კლანის არსებობა უნდა აღიაროს, შემდეგ უკვე, პრობლემის აღიარებას პრობლემის გადაჭრა მოჰყვება. მაშინვე გამოჩნდება პოლიტიკური ნებაც და სამართლებრივი ბერკეტიც, თუ როგორ უნდა მოხდეს სისტემის გაჯანსაღება.

მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა არის პროგრესი და მოსამართლის დამოუკიდებლობის მწვერვალი, მაგრამ როდესაც სისტემაში გვრიტიშვილი გყავს, მოსამართლის ბუტაფორია, რომელსაც შავ-ბნელი წარსული და აწმყო აქვს, რომელსაც საქმეები არ აქვს განხილული და სამოსამართლეო პრაქტიკაზე უარს ამბობს, სისტემის რეფორმასა და გაჯანსაღებაზე საუბარი ზედმეტია.

***— რეფორმის მე-4 ტალღაზეა საუბარი. აქამდე ჩატარებული რეფორმის შედეგი რა არის?***

— ცვლილებები ორი მიმართულებით ხორციელდებოდა.

რეფორმის პირველი ტალღა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. სასამართლო გაიხსნა — აუდიო და ვიდეო ჩანაწერების გაკეთება შესაძლებელი გახდა და ა.შ. თუმცა, პარალელურად, ისეთი დებულებებიც იწერებოდა, რომლებიც კლანს აძლევდა ხელს. მაგალითად, ცვლილება მოხდა ორგანულ კანონში, რომლის თანახმად, საქალაქო სასამართლოში შეიქმნა ვიწრო სპეციალიზაცია.

ვიწრო სპეციალიზაცია ნიშნავს, რომ საოჯახო დავა, სამეწარმეო დავა და ა.შ. უნდა განიხილოს კონკრეტულმა მოსამართლემ. ამ შემთხვევაში საქმეების ელექტრონული განაწილების პრინციპი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია და რომელიც არის რეფორმის მონაპოვარი, აზრს კარგავს, ვინაიდან ისედაც ცოტაა მოსამართლეთა რაოდენობა და უკვე წინასწარ ხდება ცნობილი, თუ რომელი საქმე რომელ მოსამართლესთან წავა.

მაგალითად, რუსთავი 2-ის საქმე დაახლოებით ცნობილი იყო, თუ ვის დაეწერებოდა, რადგან ცნობილი იყო, თუ ვინ მუშაობდა საქალაქო სასამართლოში ამ ვიწრო სპეციალიზაციაში.

რომელი მოსამართლე არის ჩართული ამ ვიწრო სპეციალიზაციაში, ამას ერთპიროვნულად მიხეილ ჩინჩალაძე განსაზღვრავს. მიხეილ ჩინჩალაძეს შეუძლია, დილით ბრძანება დაწეროს, რომ ესა და ეს კონკრეტული მოსამართლე



დღეს იმუშავებს ამ ვიწრო სპეციალიზაციაში და საღამოს შეუძლია სხვა ბრძანება დაწეროს. ნებისმიერ დროს შეუძლია ეს ბრძანება შეცვალოს. მართალია სასამართლოს თავმჯდომარეს საქმეები დღეს ხელით აღარ შეაქვს და გვაქვს საქმეების ელექტრონული განაწილება, მაგრამ თავმჯდომარე თავისივე ხელით წერს ბრძანებას ამა თუ იმ ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლის დანიშვნის შესახებ. ეს რეფორმის ამ მონაპოვარს მთლიანად აზრს უკარგავს.

***— ლევან მურუსიძემ ერთხელ თქვა, რომ ის არის მოსამართლეების ლიდერი. 300 მოსამართლე, როდესაც თქვენ მათთან საუბრობთ, მართლაც ყველა ერთ აზრზეა სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე?***

— ბოლოს და ბოლოს ლევან მურუსიძემ აღიარა, რომ ის არის სისტემის ბოსი. მიხარია, რომ ეს აღიარება მას ჩემი კითხვის საპასუხოდ მოუწია. ის ამბობს, რომ დიახ, სისტემის ლიდერია.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, ეს იმდენად დიდი პრობლემაა, რომ ყველაზე დამოუკიდებელი, ყველაზე მიუკერძოებელი, ყველაზე მოაზროვნე პროფესიის მქონე ადამიანი დღეს განსხვავებულად კი არ აზროვნებს, არამედ რამდენიმე ასეთი ბოსის ნარატივს იმეორებს.

იმ კონფერენციებზე, სხდომებზე გამოდიან და ერთი ერთში საუბრობენ. ეს არის სამარცხვინო. როგორ შეიძლება მოსამართლეები ასე ერთ ხმაში საუბრობდნენ და მათ თავიანთი შეხედულებები არ ჰქონდეთ თუნდაც სისტემის განვითარების შესახებ.

მოსამართლეების ასეთი კონფერენციები არის, კლანის წარმოდგენით, ძალის დემონსტრირება, ერთიანობის დემონსტრირება. თითქოს ხალხს აშინებენ. არადა, ხალხს არაფრის არ ეშინია. ესენი ფსევდოღირებულებების ირგვლივ გაერთიანებულები არიან.

ამ შეკრებებზე დისკუსია კი არ არის, რომ ჯანსაღი აზრი დაიბადოს, არა — იმეორებენ იმას, რასაც მათი ბოსები ამბობენ. არადა, აცდენენ სასამართლო სხდომებს, რითაც თავისთავად ზიანი ადგება მართლმსაჯულების ინტერესებს. იმედი მაქვს, რომ ჩამოყვანილი მოსამართლეები ხვდებიან ამ ყველაფერს, რომ შეცდომას უშვებენ. რასაც ვუყურებ, ნელ-ნელა ეს ენთუზიაზმი მათ შორის კლებულობს. თვითონაც ხვდებიან, რომ ამ ფორმით გაგრძელება შეუძლებელია.

***— არიან კი საერთოდ სისტემაში ადამიანები, რომლებიც ღირსნი არიან სწორედ უზენაეს სასამართლოში დაინიშნონ უვადო მოსამართლეებად?***

— მხოლოდ სასამართლოს ვერ მოვთხოვთ, რომ ყველაზე წინ იყოს, მაგრამ ღირსეული და კეთილსინდისიერი ადამიანების მოძებნა არის შესაძლებელი და ეს პრობლემა არ უნდა იყოს.

ახლა ჩვენი, საზოგადოების, მოთხოვნა უნდა იყოს, არ გავჩერდეთ და ჩინჩალაძისნაირი ადამიანები არ ავიტანოთ, არ მოვითმინოთ, რომელმაც საკუთარი სახელი და გვარი მიიტანა პარლამენტში უზენაეს სასამართლოში უვადოდ დასანიშნად.

არავის უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ მეთოფიშვილის, გვრიტიშვილის, ჩინჩალაძის ხელში კარგი სასამართლო გვექნება. ეს ხელისუფლება რომც შეიცვალოს, გვრიტიშვილი კარგი მოსამართლე არ გახდება.

# თინა ხიდაშელი: „ჩემი მინისტრობისას რუსულ რბილ ძალასთან საბრძოლველად სტრატკომი შეიქმნა, რაც იზორიამ გააუქმა“

იაგო ნაცვლიშვილი



უკვე წლებია, რუსეთი აგრესიულ მოქმედებებს მიმართავს იმ მეზობლების მიმართ, რომლებიც მის დღის წესრიგს ეწინააღმდეგებიან. პუტინის რუსეთი მხოლოდ საომარი მოქმედებებითა და ოკუპაციით არ კმაყოფილდება და ხშირად იყენებს ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა პროპაგანდა და დეზინფორმაცია, რასაც ხშირად ე. წ. რბილ ძალას უწოდებენ. ამით ცდილობს ის ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას. ამ მეთოდებით ევროპასაც ებრძვის, თუმცა ევროპულ ქვეყნებში დიდი ხანია მიმართავენ რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლას. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ამაზე მუშაობას საქართველოს პარლამენტიც იწყებს.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა დეზინფორმაციასა და პროპაგანდაზე თემატური მოკვლევის ჯგუფი შექმნა. ჯგუფის მიზანია, სამოქალაქო სექტორთან ერთად მოიკვლიოს და შეისწავლოს ეს პრობლემები და გამოწვევები.

როგორ აფასებს ამ იდეას, რამდენად ეფექტიანი ქმედებაა და არის თუ არა საქართველოს ხელისუფლება ამ მიმართულებით თანმიმდევრული? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თავდაცვის ყოფილი მინისტრი თინა ხიდაშელი საუბრობს.

***– პარლამენტის საგარეო კომიტეტში რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ სამუშაო ჯგუფი იქმნება. როგორ აფასებთ ამ იდეას და ამ მხრივ რამდენად თანმიმდევრული გგონიათ „ქართული ოცნება“?***

– თავისთავად ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ამ მიმართულებით გადაიდგმება, კარგია და მისასალმებელი. ამიტომ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ეს უნდა იყოს ერთიანი დიდი გეგმის ნაწილი, სადაც ამ სისტემაში ყველა რგოლი შეთანხმებულად იმუშავებს ერთი ამოცანით.

რუსული თაფლის შესყიდვის ცნობილი ამბავი იყო ერთ-ერთი მაგალითი. გასაგებია, რომ ვიღაცა მიხვდა და ჩაშალა ეს ტენდერი. მანამდე ყველას გვახსოვს „ბილაინის“ შემთხვევა. ასეთი ამბები თუ მისაღები და ჩვეულებრივი ამბავი იქნება საქართველოს ხელისუფლებისთვის და რეაქციას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოახდენს, თუ ვიღაცა ქუჩაში გამოუვარდება და განსაკუთრებული ისტერიკა ატყდება, მაშინ ეს არ იქნება სწორი სტრატეგია და ვერანაირი სამუშაო ჯგუფი შედეგს ვერ მოგვცემს.

თუ ერთიანობაში იქნება გააზრებული, როგორ უნდა ვებრძოლოთ რუსულ რბილ ძალას ჯამურად და არა მხოლოდ რუსულ პროპაგანდას, მაშინ შეიძლება შედეგი დადგეს. ამიტომ, ფუნდამენტურად გადასახედია სახელმწიფო პოლიტიკა პრაქტიკულად ყველა უწყების საქმიანობაში.

მარტივი მაგალითი შემიძლია მოგიყვანოთ – ვნახოთ, რამდენი სახელმწიფო უწყება ასხამს ბენზინს „ლუკოილში“, ან რა დოზით არის წარმოდგენილი რუსული ბიზნესი სახელმწიფო შესყიდვებში. ეს სია გრძელია. მთელი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სტრატეგიული იყოს მიდგომა და არა – ერთჯერადი და კონტექსტიდან ამოგლეჯილი.

***– ანუ ამას აკეთებენ იმისთვის, რომ რაღაც პროპაგანდა გასწიონ, რომ ამ მიმართულებით მუშაობენ და რეალობა სხვაა?***

– როგორც თავიდანვე აღვნიშნე, ყველა ნაბიჯი კარგი და მისასალმებელია. არ მინდა, რომ თუ კარგი იდეა გაუჩნდათ, სკეპტიკური ვიყო. პირიქით, წახალისება სჭირდება ასეთ იდეებს და მხარდაჭერა. მაგრამ იმისთვის, რომ შედეგიანი იყოს და ეს არ დარჩეს ვიღაცის ერთჯერადი კეთილი სურვილისა თუ კეთილი ნების განხორციელებულ ქმედებად, მნიშვნელოვანია, რომ ეს იყოს ერთიანი სტრატეგიული ხედვა.

ასეთი ხედვა დღეს ხელისუფლებაში არ არის.

***– უწყებებს შორის სათანადო კოორდინაცია არ არსებობს?***

– უწყებებს შორის კოორდინაცია არანაირი არ არსებობს, ეს შემიძლია გითხრათ ამ ხელისუფლებაში მუშაობის საკუთარი გამოცდილებით. არა თუ არ არსებობს ასეთი კოორდინაცია, არამედ ასეთი კოორდინაციების წახალისებაც კი არ ხდება. მაგრამ, აქ მარტო კოორდინაციის პრობლემა არ არის. თუკი იარსებებდა ერთიანი სტრატეგია და როლების სრულფასოვანი განაწილება, მაშინ ყოველდღიური კოორდინაციის გარეშე რაღაცა შედეგის მიღება შესაძლებელი იყო.

რბილ ძალასთან ბრძოლა ისეთივე ომია, როგორც ომში ხდება ტანკით და თოფით ბრძოლა. ფორმალური შედეგიც კი აღარ გვაქვს ასეთი საკოორდინაციო მექანიზმის არსებობის. ამიტომ, პრობლემა საკმაოდ ღრმა და ფუნდამენტურია.

***– არ არის სახიფათო ქვეყნისთვის, როდესაც გაუქმდა უშიშროების საბჭო და ჭიანურდება პრემიერ-მინისტრთან მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნა?***

– კანონპროექტია წარდგენილი პარლამენტში და ვნახოთ, როგორ განვითარდება ეს პროცესი. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, კი, რა თქმა უნდა, ეს სახიფათოა.

ეს რომ სახიფათოა, სწორედ ამაზე ვსაუბრობდით ერთი წლის განმავლობაში საკონსტიტუციო განხილვების დროს. მაგრამ ჩვენში გაგება იმის, რომ ქვეყანას სჭირდება ადეკვატური პასუხი და ეს პასუხი პირველ რიგში კონსტიტუციური მექანიზმებით უნდა გაიცეს, არ არსებობს. შესაბამისად, მოლოდინი იმის, რომ ვიღაც მიხვდება, რომ რეალურად ფუნდამენტური პრობლემის წინაშე ვდგავართ, მე პირადად არ მაქვს.

***– როგორ უნდა მოხდეს ბრძოლა რუსული რბილი ძალის წინააღმდეგ?***

– მე არათუ წარმომიდგენია, არამედ მიმუშავია. ჩვენ ვიყავით პირველი უწყება, როდესაც თავდაცვის მინისტრობის პერიოდში კონკრეტული გეგმები წარმოვადგინეთ, საქმიანობა გავწიეთ და ინსტიტუციური მექანიზმი შევქმენით.

ჩემი მინისტრობის დროს შეიქმნა პირველი სტრატკომი საქართველოში. მისი ამოცანა იყო ზუსტად ის, რაზეც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ. სტრატკომი არ არის თოფით ბრძოლა, ეს არის რბილ ძალასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური მექანიზმი. ბატონმა იზორიამ უწყებაში მისვლის შემდეგ ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება რაც მიიღო, სწორედ ამ სტრატკომის გაუქმება იყო. ამიტომ, ამ პირობებში რთულია, ხელისუფლებას რეკომენდაცია გავუწიო, რა უნდა გააკეთოს და როგორ იქცეოდეს.

სტრატკომი კი არა და ჩვენ პრობლემები კიბერუსაფრთხოებაშიც კი გვაქვს, რომელიც თითქოს მარტივად მოგვარებადი უნდა ყოფილიყო, მაგრამ აქაც საპირისპირო მიმართულებით მოძრაობს სამინისტრო. ამიტომ, ამაზე დეტალურად საუბარი რთული სათქმელია მოკლე ინტერვიუში. ვისაც აინტერესებს, შეუძლია ნახოს ამ თემაზე ჩემ მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკის დოკუმენტი.

ეს დოკუმენტი ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია და იქ მაგალითების გზით მოყვანილია ყველა ის ბრძოლის საშუალება ეფექტურობის მისაღწევად, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის გამოსადეგია.

***– იმაზეც არის საუბარი, რომ არის ორგანიზაციები, მედიასაშუალებებიც, რომლებიც პირდაპირ მუშაობენ რუსულ პროპაგანდაზე. როგორ უნდა გაკონტროლდეს ეს, რომ არ დაზარალდეს არც სახელმწიფო ინტერესები და არც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება?***

– ეს არ არის ერთგვაროვანი საკითხი. რამდენიმე ამბავია. რას ნიშნავს პირდაპირ? პირდაპირ შეიძლება ნიშნავდეს კანონდარღვევით პირდაპირ, რომელიც ფინანსდება რუსეთიდან და შეიძლება ნიშნავდეს წარმომავლობის გარეშე პირდაპირ. ანუ ადგილობრივი რეზიდენტია. პირველ შემთხვევაში პასუხი ადვილია, მეორე შემთხვევაში – უფრო რთული.

საქართველოს ხელისუფლების პირველი რიგის ამოცანა არის, რომ კანონი დაიცვას. ანუ, იმ შემთხვევებში, როდესაც იგივე პოლიტიკური ძალების დაფინანსება ხდება რუსეთიდან, ეს გამოააშკარაოს. ამას დიდი გამოაშკარავება არ სჭირდება, მაგრამ ამაზე კანონი აამოქმედოს. სანამ კანონი არ მუშაობს, „თავისუფლების“ რეჟიმი ასეთი ორგანიზაციებისთვის მაღალია და ისინი ფიქრობენ, რომ ყველაფერი დაშვებულია და პრობლემა არ არის.

აქედან დაწყებული, შემდეგ უკვე საჭიროა მოქმედებები, კონტრმოქმედებები და უფრო აქტიური მოქმედებების სია საკმაოდ მაღალია. მთავარია, როგორია პოლიტიკური ნება ამ ამბებთან გამკლავების.

აი, ეს ნება არ არის. ამიტომ აქ არაფერი არ ხდება.



# ეროვნული ინტერესების დამცველი ომბუდსმენის შექმნა წარმოუდგენელია

## ლევან ალაფიშვილი: „კვიციანის ინიციატივა იმას ჰგავს, პარლამენტმა რომ იმსჯელოს, ზამთარი გავაუქმოთო და მაინც დადგეს“

პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ლომია პარლამენტში ეროვნული ინტერესების დამცველი ომბუდსმენის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. როგორც დეპუტატი მიიჩნევს, ამ ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობა ლგბტ საზოგადოების პრიორიტეტულობამ გამოიწვია. აღნიშნული ინსტიტუტი კი „ჩვენს ისტორიას, ადათ-წესს, კულტურას დაიცავს, არ დაგვავიწყდება, საიდან მოვდივართ და საითკენ მივდივართ“ – აღნიშნავს დეპუტატი.

იურისტი ლევან ალაფიშვილი ამ ინიციატივას „გაუგებარს“ უწოდებს და „ახალ თაობასთან“ აღნიშნავს, რომ „სამართლებრივად ამ იდეას რეალიზაცია არ უწერია“.

– ყველანაირ პოლიტიკურ მსჯელობას მოკლებულია. მესმის პოლიტიკის შემადგენელი არის, მაგრამ სამართლებრივად ამ იდეას რეალიზაცია არ უწერია, – აღნიშნავს იურისტი.

თუ რატომ არ ჯდება სამართლის ლოგიკაში ეროვნული ინტერესების დამცველი ომბუდსმენის შექმნის ინიციატივა, რატომ არის არაგონივრული „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“ ტერმინების კანონმდებლობიდან ამოღება და რატომ არ შეიძლება „გეი აღლუმის“ გაუქმება, ამაზე „ახალ თაობასთან“ ლევან ალაფიშვილი უფრო ვრცლად საუბრობს.

***– ბატონო ლევან, გიორგი ლომია ეროვნული ინტერესების ომბუდსმენის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. მისი თქმით, ეს ინსტიტუტი ჩვენს ისტორიას, ადათ-წესებს და კულტურას დაიცავს. როგორ გგონიათ, სჭირდება მას კანონმდებლობით დაცვა? დგას ამ ინსტიტუტის შექმნის საჭიროება?***

– ეს სამართლის არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. ომბუდსმენზე როდესაც არის საუბარი, ნიშნავს, ადამიანის უფლებების დაცვას. შესაბამისად, რომელი ნიშნით რომელი უფლებების გაერთიანების დაცვას ისახავს მიზნად, ცოტა გაუგებარია. მეორე, რაც მნიშვნელოვანია, წმინდა, ასე ვთქვათ, სახელმწიფოს მმართველობითი ყველა საჯარო დაწესებულებას ვინახავთ ჩვენ, გადასახადის გადამხდელები და ინიციატივაში აქცენტი გაკეთებული არის იმაზე, რომ უმცირესობების უფლებები გადაჭარბებულად არის დაცულიო. წარმოიდგინეთ, ამ კონცეფციის ავტორი თავის თავში უშვებს და მისაღებადაც მიაჩნია, რომ იგივე სექსუალურმა უმცირესობამ თუ სხვა ნიშნით არსებულმა უმცირესობამ გადაი-ხადოს გადასახადები და ამ გადასახა-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# თორნიკე შარაშენიძე: „ოცნებას“ ეს ყველაფერი სიდებილით მოსდის“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***რამდენად აქვს მას დასავლეთის მხარდაჭერის იმედი?***

– მაინცდამაინც არ აქვს დასავლეთის მხარდაჭერის იმედი. ეს ძალიან კარგად ჩანს იქიდან, თუ ვინ ხვდება მას ბოლო პერიოდში, თუმცა „ოცნება“ თუ ასე გააგრძელებს, ამით მიშას გააძლიერებს.

ადრე სააკაშვილი ასულდგმულებდა ივანიშვილს, მიშას შიშით აძლევდა ხალხი ხმას „ოცნებას“, ახლა პირიქით არის. უკვე ივანიშვილი ასულდგმულებს სააკაშვილს.

***– იმაზე მეტ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე ამის საჭიროებაა?***

– დიახ. თან მერე გამოდიან და ვითომ ცინიკურად ამბობენ, სააკაშვილი დამთავრდა, ნაცმოძრაობა დამთავრდა, მერე მივარდებიან და ვნახეთ, რა ამბებს აწყობენ.

30 კაცი გაუშვეს მინიმუმ, აბა, დაითვალეთ მათი გაფრენა-გამოფრენა, სხვა ხარჯებს რომ თავი დავანებოთ, მათი სასტუმროში დაბინავება, კვება, გასამრჯელოც ხომ უნდა მისცე კაცს, ამხელა გზაზე რომ უშვებ? მოკლედ, ეს ძალიან ძვირი დაჯდა და რისთვის, რა საჭიროება იყო, ამიხსნას ვინმემ.

***– თანაც გაუშვეს სპორტსმენები.***

– დიახ, კუნთმაგარი „ვაჟკაცები“. ეს კიდევ უფრო სამარცხვინოა, რაში ასაქმებენ და რისთვის იყენებენ სპორტსმენებს.

***– თუ სააკაშვილი დიდი ხანია დამთავრდა, რატომ არ ამთავრებენ მის ოდიოზურ მოსამართლეებს და სხვა ჩინოვნიკებს?***

– ეს კიდევ მეორე საკითხია. მე ლოგიკური შეკითხვა მიჩნდება – თუ ეს მოსამართლეები გახდნენ კარგები, ვინც სააკაშვილის დროს იყვნენ ცუდები, კაცო, იქნებ ვანო მერაბიშვილიც ძალიან კარგი გახდა, გამოუშვან და დანიშნონ სულ ცოტა მინისტრის მოადგილედ. ბაჩოც გამოუშვან ახალაია. იქნებ ისინი ამ მოსამართლეებზე უკეთესები გახდნენ?! თუ მოსამართლეები კარგები გახდნენ, იქნებ მიშას მინისტრებიც კარგები გახდნენ, ამაზე არ უფიქრიათ?!

***– ივანიშვილი უსმენს ვინმეს, ითვალისწინებს რჩევებს, როგორ ფიქრობთ?***

– მე მგონი, ნაკლებად უსმენს. პრინციპში, გარშემო არც შემორჩა ისეთი სერიოზული ფიგურა, რომ მას მოუსმინოს, ხოლო იმათ კი სიმართლე უთხრან.

***– რაიმე ახალს შემოაგდებს ივანიშვილი 2020-მდე?***

– არა, ჩვენ როგორც ვუყურებთ, სულ ძველი ამბები ტრიალებს, ძველი სახეები და ერთი და იგივეა ყველაფერი. ახალს ნაკლებად ველოდები.

***– მაშინ რა იმედით გავლენ 2020-ის არჩევნებზე? თავად ამბობთ, რომ მიშა აღარ ჭრის.***

– ფულით. იმის იმედით, რაც ბოლო არჩევნებზე იყო. ხელების გადაგრეხვა, ცოტა დაშინება, მოსყიდვა და ცოტა მიშა მოვას ძახილიც იქნება. ახალს ვერაფერს იფიქრებენ, კრეატიულობაში ჭედავენ.

***– რამდენად გაქვთ მოლოდინი, რომ ახალი პოლიტიკური ძალა გამოჩნდეს პოლიტიკურ ასპარეზზე?***

– სამწუხაროდ, ძალიან ცოტა დროა ამისთვის დარჩენილი. თანაც „ოცნებამ“ მაქსიმალურად ყველაფერი ქნა საიმისოდ, რომ პოლიტიკური ველი მოესუფთავებინა და თავის მოწინააღმდეგედ დაეტოვებინა მხოლოდ სააკაშვილი, იმ იმედით, რომ ამას ხალხი არასოდეს აირჩევს.

ახლა ამის გამო შეიძლება მიიღონ უარესი. თუ იყო შანსი, რომ 2020 წელს მოსულიყო ზომიერი ძალა და მომხდარიყო ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება. ახლა 2020 წელს, ისევ ან ერთი ძალა მოიგებს, ან მეორე ძალა.

***– ანუ ისევ ამ ორ ძალას შორის უნდა გავაკეთოთ არჩევანი?***

– ჯერჯერობით ასე ჩანს. შედარებით უფრო დამაიმედებელი სცენარია, რომ ვაშაძის გარშემო მოხდეს მობილიზაცია ოპოზიციური სპექტრის მთლიანად და ეს არ იყოს მხოლოდ ნაცმოძრაობა.

***– თუმცა ეს ძალა მაინც ნაციონალებთან ასოცირდება.***

– გასაგებია, ამას ვერ გაექცევა ვერავინ. ნაციონალები ფაქტორია პოლიტიკაში, გვინდა თუ არა, მოგვწონს თუ არა, ეს ასეა.

# ჯუმბერ თავართქილაძე: „ივანიშვილი პოლიტიკიდან უნდა წავიდეს“

გულიკო ბალაძე

რას ემსახურება მიხეილ სააკაშვილის გააქტიურება? – „ახალი თაობა“ მოძრაობა „ერთიანობის კავშირის“ თავმჯდომარე ჯუმბერ თავართქილაძეს ესაუბრა.

***– ბატონო ჯუმბერ, როგორ მოგწონთ სააკაშვილის მიერ „აჭარის ალტერნატიული მთავრობის“ შექმნა?***

– სააკაშვილის ქმედებები ამერიკის გარკვეული წრეების მიერ არის ნაკარნახევი. რასაც სააკაშვილი ჩადიოდა უკრაინაში და ახლა ჩადის საქართველოს საწინააღმდეგოდ, ყველაფერი ამერიკიდანაა მართული.

***– ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა თქვა, რომ ისინი მხარს უჭერენ არსებულ ხელისუფლებას და საქართველოს.***

– ბუნებრივია, რომ დიპლომატი ამას ამბობს. ამერიკაში არიან ძალები, რომლებსაც არ აწყობთ საქართველოსა და კავკასიაში ბოლო პერიოდში არსებული მშვიდი ვითარება. 5 წელია ქვეყანაში სტაბილურობაა.

***– საქართველოში ვითარების არევა რუსეთის ხელისუფლებას უფრო აწყობს.***

– ვერ დაგეთანხმებით, რომ რუსეთს აწყობს საქართველოში ვითარების არევა. მე ვერ ვხედავ მიზეზს, რუსეთს საქართველოში არეულობა რომ აწყობდეს.

***– თქვენი ეს მოსაზრება რას ეყრდნობა?***

– რუსეთის ინტერესი იყო, საქართველოში ჰქონოდა ბაზები. სააკაშვილმა 2008 წელს შეუქმნა ვითარება, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ბაზები გაეკეთებინა. აქედან გამომდინარე, რუსეთს საქართველოში და, საერთოდ, კავკასიის რეგიონში სტაბილურობა აწყობს.

***– რატომ აგრძელებს რუსეთი საოკუპაციო ხაზის გავლებას, რატომ აკეთებს სათვალთვალო კოშკურებს პირდაპირ ჩვენი მოქალაქეების ბაღებში, რატომ ამონტაჟებს მავთულხლართებს? ჩვენს ნერვებს ცდის? ხომ შეიძლება ნებისმიერ მომენტში იფეთქოს დაპირისპირებამ? შუაგულ ქართლში ადამიანებს ეზოებში უვარდებიან, იმ ტერიტორიებს ითვისებენ, სადაც ქართველებს ბაღები აქვთ. ცოტა ხნის წინ მღვდელიც გაიტაცეს.***

– დარწმუნებული ვარ, ეს არის რაღაც თვითქმედებები ავტონომიის დონეზე, პატარა შიკრიკები რომ არიან. ოსების წარმომადგენლების მხრიდან რაღაც აქტივობები ხორციელდება. მე ეს მათი თვითშემოქმედება უფრო მგონია, ვიდრე კრემლის დავალება.

***– ვერ დაგეთანხმებით, რადგან რუსი სამხედროები აბამენ მავთულხლართებს და იტაცებენ ადამიანებს. რუსმა ჯარისკაცებმა მღვდელიც აღარ დაინდეს. ადგილობრივი დონის თვითშემოქმედება როგორ შეიძლება იყოს? ეს რუსების ზოგადი პოლიტიკაა, რაც შეიძლება მეტად რომ შეგვავიწროვონ.***

– ეს არის მათი დანაშაული, მაგრამ ასეთი დანაშაულებრივი ქმედებები მე არ მაძლევს საშუალებას ვთქვა, რომ რუსეთს საქართველოში ვითარების არევა უნდა.

***– თქვენ თქვით, საქართველოში ამერიკას აწყობს არეულობაო.***

– არ გამოვრიცხავ, ამ თამაშში ბიძინა ივანიშვილიც იყოს ჩართული.

***– რატომ არ გამორიცხავთ?***

– იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილმა თავიდანვე თქვა, რომ შუა უნდა გაიკრიფოს. ეს იმას ნიშნავს, უნდა იყოს ორი პარტია. არ გამოვრიცხავ, ამ თამაშში ჩართული იყვნენ ამერიკაში არსებული გარკვეული ჯგუფებიც.

***– სააკაშვილი ვინც არის, გასაგებია, მაგრამ რუსეთს რატომ ამართლებთ?***

– რუსეთს კი არ ვამართლებ, შედარებას ვაკეთებ. სააკაშვილს უფრო დიდი ზიანი მოაქვს საქართველოსთვის, ვიდრე რუსეთს, რადგან ის არის სატანა. არ მესმის იმ მოქალაქეების, ვისაც ამ ადამიანის სჯერათ.

***– ბოლო არჩევნების პერიოდში ივანიშვილმა მესამე ძალის გამოჩენის სურვილი გამოთქვა. ჩვენ რატომღაც, მაინცდამაინც 2011 წლის განცხადებას ვიმეორებთ შუის გაკრეფის შესახებ. მას შემდეგ ვითარება შეიცვალა და ივანიშვილს პოზიციები არ შეეცვალა?***

– ვფიქრობ, დღეს ბატონი ბიძინა ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია. ის არის ორ წყალს შუა. მას თავისი ადგილები აქვს ამერიკაში, თავისი ადგილები აქვს რუსეთში. ეს ყველაფერი მას ხელს უშლის. ჩემი აზრით, სჯობს, საერთოდ, წავიდეს პოლიტიკიდან, განაცხადოს, რომ ის მიდის და გათავისუფლდეს ამ მოვალეობისაგან. ბიძინა ივანიშვილი მძევალია. ის იქით ამერიკელების მძევალია, აქეთ, რუსეთში, ბიზნესები აქვს.

***– ივანიშვილი უნდა წავიდეს, რომ სააკაშვილს კარგად მოსუფთავებული მოედანი დახვდეს?***

– არა, ამას არ ვამბობ.

***– აბა, ამ დროისთვის მათი შემაკავებელი ივანიშვილია და სააკაშვილს რაღა შეაკავებს?***

– სახელმწიფო უნდა იყოს თავის დონეზე. ივანიშვილი არ არის შემაკავებელი. არც „ოცნება“ შემაკავებელი. მინდა ბატონმა ივანიშვილმა სახელმწიფო სტრუქტურებში დატოვოს ისეთი ხალხი, რომელიც სახელმწიფოს ნორმალურ მართვას უზრუნველყოფს.

***– ეგ სწორია, მაგრამ წინამძღოლსაც ხომ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება.***

– არის ხალხი, რომელიც ამ მისიას თავის



თავზე აიღებს და ერს წინ წარუძღვება.

***– ვინ?***

– პატიოსანი პოლიტიკოსების მეტი რა არის. ბიძინა ივანიშვილის ყველაზე დიდი შეცდომა კობა დავითაშვილის ჩამოცილება იყო. ბიძინა ივანიშვილს კობა დავითაშვილისნაირი პატიოსანი პოლიტიკოსები გვერდით რომ ჰყოლოდა, საქმე იქამდე არ მივიდოდა, რა ვითარებაც არის დღეს.

***– კობა დავითაშვილს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ახლა მას პარტია დაშლილი აქვს.***

– კობა დავითაშვილისნაირი პატიოსანი ადამიანები კიდევ არიან, მაგრამ ჯერ არ ჩანან. ისინი აიღებენ პასუხისმგებლობას, ღირსეულად ატარებენ ტვირთს და დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანენ. საქართველოში უნდა დასრულდეს იმაზე კამათი, ივანიშვილი რომ წავიდეს, რა გვეშველება, სააკაშვილი რომ მოვიდეს, რა გვეშველებაო.

# გალელებს ეროვნებას და გვარებს უცვლიან

## რას ერჩის ხაჯიმბას გარემოცვა საქართველოს პრეზიდენტს?

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ წერდა, რომ ოკუპირებული აფხაზეთის გალის რაიონის ქართველებმა ცოტა ხნის წინ ენგურის ზოლთან გააპროტესტეს როგორც გრიპის გამო გამოცხადებული კარანტინი, ისე უპასპორტობა.

საოკუპაციო რეჟიმი მოქალაქეობა-პასპორტიზაციის საკითხის გადაწყვეტას აპირებს, ოღონდ იმ ასპექტით, რომელზეც ადრე დეფაქტო პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა მიანიშნებდა. იგი საუბრობდა ამ კატეგორიის მოსახლეობისთვის ისტორიულ ფესვებთან დაბრუნებაზე.

დღეს ირკვევა, რომ გალელებს ეროვნებას და გვარებს უცვლიან. აფხაზებად ჩაწერილ ხალხს არც მოქალაქეობას დააყვედრიან და არც ახალი ყაიდის აფხაზურ პასპორტს. ამ დოკუმენტების დარიგება გრძელდება.

აფხაზეთის ქართველები უსაბუთოდ მას შემდეგ აღმოჩნდნენ, რაც ხაჯიმბამ გააუქმა მათთვის ადრე დარიგებული პასპორტები და ამის მაგივრად ქართველებს ბინადრობის მოწმობებს შეჰპირდა. მოსახლეობის ნაწილი ამას დათანხმდა, თუმცა ყველას არც ბინადრობის მოწმობა მისცეს.



ამ საკითხზე კომენტარს აკეთებს გალის რაიონის ადმინისტრაციის უფროსი თემურ ნადარაია, რომელიც აფხაზეთს სახელმწიფოს უწოდებს.

– ვერ დავუშვებთ, რომ ერთი და იგივე ადამიანი ირჩევდეს საქართველოსა და აფხაზეთის პრეზიდენტებს. შეუძლებელია, რომ ადამიანებმა მიიღონ ჩვენი მოქალაქეობა იმ დროს, როცა მათ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა აქვთ, რუსეთის მოქალაქეობის გარდა. თუ სახელმწიფოს ვქმნით, ეს ქვეყნის დაცვის ქვაკუთხედი უნდა იყოს, – აღნიშნავს ნადარაია.

მისი თქმით, ვისაც არანაირი საბუთი, მათ შორის, ბინადრობის მოწმობა არ გააჩნია, მათ უფორმდებათ ფორმა ნომერი 9, რომლის საშუალებით ადამიანები იღებენ სოციალურ პაკეტს სახელმწიფოსაგან და გადაადგილდებიან.

გალის გამგებელი არ მალავს, რომ ადმინისტრაციის დახმარებით უსტატუსო ხალხს ეროვნებას და გვარებს უცვლიან:

– დოკუმენტების შედგენაში დავეხმარეთ მათ, ვისაც უნდა თავისი გვარებისა და ეროვნების დაბრუნება. დღეისათვის ეს 600 პირია. აქედან 300-მა უკვე მიიღო შესაბამისი ნებართვა. ეს ჩვენი სახელმწიფოს ინტერესში შედის. ეს ძალდატანებით არ ხდება.

თემურ ნადარაია თავისებურად უდგება იმასაც, რომ ქართველებს ჩამოართვეს საკუთარ ენაზე სწავლის უფლება:

– ადმინისტრაცია მუშაობს მოსახლეობის ინტეგრაციაზე. 2015 წელს გადაწყდა, 11 სკოლაში დაგვენერგა აფხაზეთის განათლების სამინისტროს პროგრამა. ის მოსწავლეებს რუსული ენის შესწავლის საშუალებას აძლევს. განათლების სამინისტრომ უზრუნველყო სკოლები სახელმძღვანელოებით. ზაფხულში ყველა მასწავლებელს გადავამზადებთ.

ხაჯიმბას გარემოცვა ალმაცერად უყურებს თბილისიდან წამოსულ ნებისმიერ ჰუმანიტარულ პროგრამას და პროექტს. ამ კუთხით საოკუპაციო რეჟიმი კიცხავს საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილსაც.

თუმცა, ამ თავდასხმების თავი და თავი ის არ არის, რომ სალომე ზურაბიშვილი რამდენჯერმე შეეხო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ახალი წელი მიულოცა ოკუპირებულ რეგიონებს, გამოთქვა სურვილი, რომ აფხაზებმა უფრო ღირსეულად იცხოვრონ საერთო სახელმწიფოში.

ხაჯიმბას თანამოაზრეების გაღიზიანებას და ზურაბიშვილის გაკილვას გეოპოლიტიკური საკითხები იწვევს. მათი შეფასებით, ზურაბიშვილი აშშ-ის რჩეულია. ვაშინგტონს ის დასჭირდა, რათა დიდი ხნით გამყარდეს საქართველოში.

# სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი 20 მილიონი ლარი იქნება

სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დასაფინანსებლად საქართველოს მთავრობამ 20 მილიონი ლარი გამოყო.

პროგრამა მუნიციპალიტეტებიდან შემოსული მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში შემუშავდა.



პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების განხორციელების შედეგად გატარდება პრევენციული ღონისძიებები სტიქიის თავიდან ასაცილებლად ან სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზიანის შესამცირებლად.

პროგრამის განხორციელების მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში უკვე გათვალისწინებულია შესაბამისი თანხები. პროგრამის მაქსიმალური მოცულობა 20.000.000 ლარია.

# ეროვნული ინტერესების დამცველი ომბუდსმენის შექმნა წარმოუდგენელია

დასაწყისი მე-4 გვერდზე

დებით დაფინანსდეს ეროვნული ინტერესების დამცველი ომბუდსმენი. ესეც, რა თქმა უნდა, ყველანაირ პოლიტიკურ მსჯელობას მოკლებულია. მესმის პოლიტიკის შემადგენელი არის, მაგრამ სამართლებრივად ამ იდეას რეალიზაცია არ უწერია.

***– ანუ დაცვა არ სჭირდება მათ უფლებებს, ვინც ტრადიციას და ადათ-წესებს მისდევს?***

– თუ საუბარია მხოლოდ ღირებულებით ნაწილზე, დავუშვათ, სახელმწიფოს მნიშვნელობაზე და ა.შ., სახელმწიფოს ფუნქცია, მაგალითად, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, რელიგიასთან დაკავშირებით, კანონში გაწერილია. კარგად ასრულებს, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ეს სხვა საკითხია. მაგალითად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა არის კულტურის სამინისტროს პრეროგატივა, რელიგიაზე ზრუნვა, იმ წესით, რაც კანონმდებლობითაა მოცემული, შესაბამისი სააგენტო ზრუნავს. ასე რომ, ეგ იდეა სამართლებრივადაც გაჭედილია. უფლებების თვალსაზრისით, რისი უფლებები უნდა დაიცვან, არ მესმის.

***– პარლამენტმა ემზარ კვიციანის საკანონმდებლო პაკეტი განიხილა, რომელიც კანონებიდან ტერმინების – „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“ ამოღებას ითვალისწინებს. როგორ გგონიათ, უარყოფითად ხომ არ აისახება ეს ლგბტ საზოგადოების ცხოვრებაზე?***

– გონივრულად და სერიოზულად ამ საკითხზე ვერ ვიმსჯელებ, იმიტომ, რომ რეალურად ის, რაც არის და მიღებულია საკანონმდებლო ორგანოს მიერ კონსენსუსით, იმისი რევიზია შეუძლებლად მიმაჩნია. მხედველობაში მაქვს, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ ყველა კანონი, არაერთი საერთაშორისო აქტი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ პარლამენტმა საქართველოში რომ იმსჯელოს, გავაუქმოთ ზამთარიო და ზამთარი მაინც დადგეს. ეს უხეშად რომ ვთქვათ. რაც საყოველთაოდ ცნობილია და უკვე დამკვიდრებულია, იმის შეცვლა კონკრეტულ ქვეყანაში და კონკრეტულ საზოგადოებაში, შეუძლებელია და არაგონივრულიც, რა თქმა უნდა.

***– პატრიოტთა ალიანსში მიიჩნევენ, რომ „გეი-აღლუმის“ ჩატარების აუცილებლობა არ დგას, რადგან მათ თქმით, საქართველოში სექსუალური უმცირესობების დევნა არ ხდებაო. თქვენ როგორ ფიქრობთ, როგორც იურისტი ამ საკითხზე, საჭიროა მისი გაუქმება? არ არიან უმცირესობაში ლგბტ თემის წარმომადგენლები?***

– ეს იმდენად პოპულისტური თემაა, მართლა უხერხულად ვგრძნობ თავს, რომ ვმსჯელობ ამაზე. მაგალითად, თუკი მაქვს განსხვავებული აზრი, მაქვს თუ არა სიცოცხლის უფლება, ცხოვრების უფლება და ა.შ. ამ კითხვაზე პასუხი თუ არის კი, მაგ შემთხვევაში, რა ნიშნით იქნები განსხვავებული, უკვე გადამწყვეტი აღარ არის. ესაა მთავარი მანდ და ე.წ გრძნობებზე თამაში, პოლიტიკური ქულების დაგროვება, მესმის პოლიტიკური თემაა, შეიძლება ვინმესთვის მომგებიანი, მაგრამ არა სახელმწიფოსთვის და არა სამართლებრივად სწორი. რაც შეეხება აღლუმის გამართვის საჭიროებას, აბსოლუტურად არასწორად არის დაყენებული საკითხი.

# მთავრობა გრიგოლეთში, ურეკსა და ფოთში აზარტული თამაშების ბიზნესის განვითარებას გეგმავს

მთავრობა გრიგოლეთში, ურეკსა და ფოთში აზარტული თამაშების ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას გეგმავს. ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კანონპროექტშია აღნიშნული, რომლის განხილვაც საგაზაფხულო სესიაზე იგეგმება.



კერძოდ, პროექტი გულისხმობს ამ ტერიტორიებზე სამორინეს მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის განსხვავებული განაკვეთით დაბეგვრას, ამასთან, სანებართვო მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლებას ახლად აშენებული არანაკლებ ოთხმოცნომრიანი სასტუმროს ტერიტორიაზე სამორინეს მოწყობის შემთხვევაში, ნებართვის გაცემიდან 10 წლის განმავლობაში.

როგორც განმარტებით ბარათშია აღნიშნული, კანონპროექტის მიღება დაბა გრიგოლეთში, დაბა ურეკსა და ქალაქ ფოთში აზარტული თამაშების ბაზრის სიმწირის გამოსწორებას ისახავს მიზნად.

– კანონპროექტი ითვალისწინებს, ერთი მხრივ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დაბა გრიგოლეთის ტერიტორიაზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ტერიტორიასა და ფოთში სამორინეს მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის განსხვავებული განაკვეთით დაბეგვრას, ხოლო, მეორე მხრივ, დაბა გრიგოლეთში, დაბა ურეკსა და ფოთში სანებართვო მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლებას ახლად აშენებული არანაკლებ ოთხმოცნომრიანი სასტუმროს ტერიტორიაზე სამორინეს მოწყობის შემთხვევაში, ახლად აშენებული სასტუმროების ტერიტორიაზე სამორინეს მოწყობის ნებართვის გაცემიდან 10 წლის განმავლობაში.

ამასთან „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის შემცირებით/გათავისუფლებით მოგვარდება დასახელებულ ლოკაციებზე ადგილობრივი დასაქმების პრობლემა. გარდა ამისა, კანონპროექტი მიზნად ისახავს სასტუმრო ინდუსტრიისა და მასთან დაკავშირებული დამატებითი სერვისების (ისეთები, როგორიც არის სამორინე) განვითარების ხელშეწყობას აღნიშნულ ტერიტორიებზე, როგორც ახალ აშენებული სასტუმროს, ასევე უკვე არსებული სასტუმროს გაფართოება/გადაიარაღების შემთხვევაში.

კანონპროექტის მიღება აუცილებელია აღნიშნულ რეგიონებში ტურისტული პოტენციალის გაზრდის, ამ გზით საერთაშორისო ვალუტის შემოდინებისა და შესაბამისად ეროვნული ვალუტის გაუფასურების პროცესის შენელებისათვისც“ – აღნიშნულია კანონპროექტში.

როგორც ცნობილია, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ოდენობა დადგენილია საქართველოს კანონით. სანებართვო მოსაკრებელის მოცულობა ასე გამოიყურება: სათამაშო აპარატზე 50.000 ლარიდან 1.000.000 ლარამდე; სამორინეს მაგიდაზე მოსაკრებელი 5.000.000 ლარამდეა; აზარტული კლუბის მაგიდაზე 10.000 ლარიდან 50.000 ლარამდე; ტოტალიზატორზე – 30.000-დან 300.000 ლარამდე. რაც შეეხება სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობაზე მოსაკრებელს, მისი მოცულობა 250.000-დან 300.000 ლარამდეა.

შეგახსენებთ, რომ აზარტულ თამაშებზე მოთხოვნის შესამცირებლად, ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 6 წლის წინ გადაწყვიტა, რომ „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონში ცვლილებები შეეტანა და რეგულირება გაემკაცრებინა, შესაბამისი ცვლილებათა პაკეტიც მომზადდა, თუმცა, ამ დრომდე კანონპროექტზე მუშაობა არ დაწყებულა. შესაბამისად, როდის შეიტანს პარლამენტი კანონში ცვლილებას, დღესაც უცნობია.

ცნობისთვის, აზარტული თამაშები ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ბიზნესია ქვეყანაში. 2018 წლის მონაცემები ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა, 2017 წელს სათამაშო (აზარტული) ბიზნესის ბრუნვამ 5,650 მილიარდი ლარი შეადგინა, ხოლო ბიუჯეტში 332 მილიონი ლარი გადაიხადა.

**ბპნ**

# „ელიტ-ელექტრონიქსს“ გაყიდვები მინიმუმ 50%-ით შეუმცირდა

საბანკო რეგულაციების პირველმა ეტაპმა, რომელიც გასული წლის მაისიდან ამოქმედდა, ტექნიკის მაღაზიათა ქსელებს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა, მეორე ეტაპმა (2019 წლის 1 იანვარი) კი, როგორც ამ დარგის წარმომადგენლები აცხადებენ, ბიზნესი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ბიზნესმენები „კომერსანტთან“ აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ განვადებების პროცედურის გართულების გამო საყოფაცხოვრებო ტექნიკის გაყიდვა ქვეყანაში 40-50%-ით შემცირდა.

რა გავლენა მოახდინა საბანკო რეგულაციების გამკაცრებამ ამ მიმართულებით ბაზარზე ყველაზე მსხვილ მოთამაშე კომპანიაზე – „ელიტ-ელექტრონიქსზე“ და რამდენად აისახა ტექნიკის გაყიდვებზე განვადების გამკაცრებული პირობები, ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებისგან მსხვილი მაღაზიათა ქსელის მფლობელი კომპანია თავს იკავებს. მეტიც, როგორც გავარკვიეთ, კონკურენტებისგან განსხვავებით, კომპანიაში ჯერჯერობით გაყიდვების საერთო მოცულობა არ დაუთვლიათ და, აქედან გამომდინარე, დასკვნის გამოტანაც უჭირთ. ყოველ შემთხვევაში, ასე პასუხობენ „კომერსანტს“.

ჩვენს კითხვებზე „ელიტ-ელექტრონიქსის“ წერილობით პასუხებს უცვლელად გთავაზობთ:

***– საბანკო რეგულაციების გამკაცრებამ ხომ არ შეამცირა თქვენს მაღაზიაში წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო ტექნიკის გაყიდვები? „კომერსანტთან“ მსგავს პრობლემაზე თქვენს სფეროში მოღვაწე ბევრი ბიზნესმენი საუბრობს.***

– ამ კუთხით კომენტარის გაკეთება ამ ეტაპზე გვიჭირს. საკმაოდ მოკლე ვადაა იმისთვის, რომ საბოლოო დასკვნა გამოვიტანოთ, რა გავლენა აქვს ამ რეგულაციას გაყიდვაზე.

***– ტექნიკის სხვა მაღაზიები ცდილობენ, რომ ალტერნატიული გზები მოძებნონ და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პარტნიორობით განვადების ახალი სქემა შეიმუშაონ, თქვენ თუ მუშაობთ ამ მიმართულებით?***

– რა თქმა უნდა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან ადრეც ვთანამშრომლობდით და ვაგრძელებთ იმავე სახით თანამშრომლობას.

***– როგორ ფიქრობთ, რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ, რომ საბანკო რეგულაციის პირობებში ტექნიკის მაღაზიათა ბიზნესი არ დაზარალდეს?***

– ამ მიმართულებით კომენტარის გაკეთება გვიჭირს, რადგან საკმარის ინფორმაციას ჯერ არ ვფლობთ.

რატომ არ საუბრობს არსებულ პრობლემებზე „ელიტ-ელექტრონიქსი“, ამის შესახებ „კომერსანტი“ ტექნიკის სფეროში მომუშავე სხვა ბიზნესმენებს გაესაუბრა. როგორც ჩვენი წყარო ვარაუდობს, ბაზარზე ყველაზე მსხვილი მოთამაშის მხრიდან დუმილი მარკეტინგული გათვლის შედეგია და მეტი არაფერი.

„ელიტ-ელექტრონიქსი“ ბაზარზე არის ერთგვარი ლოკომოტივი, უკონკურენტო და მისი მოგება წლიურად მილიონს აჭარბებს. მეც ამ სფეროში ვარ და ზუსტად ვიცი, რომ ყველას, მათ შორის „ელიტ-ელექტრონიქსსაც“ შეუმცირდა გაყიდვები მინიმუმ 50%-ით. მათი მხრიდან კი დუმილი, ვფიქრობ, უფრო მარკეტინგული სტრატეგიაა – თითქოს ბაზარზე არსებული პრობლემების მიუხედავად, კომპანია მაინც წარმატებით მუშაობს და გართულება არ აქვს. თანაც საუბარია იმ ბრენდზე, რომელიც აქამდე მუდმივად აპელირებდა საკუთარი წარმატებული მუშაობის სპეციფიკაზე. სავარაუდოდ, ამ ნიშის შენარჩუნება უნდათ ახლაც, – ამბობს ბიზნესმენი, რომელმაც კონფიდენციალურობის დაცვა გვთხოვა.

„ელიტ-ელექტრონიქსი“ რომ წარმატებით ოპერირებდა ბაზარზე, ამაზე ციფრებიც მეტყველებს:

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის მიხედვით, 2018 წლის 1 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს ბაზარზე სულ ტექნიკის 2000-მდე მაღაზიაა, რომელთაგან 1 954 წვრილი სავაჭრო ობიექტია. დიდ ქსელებს შორის ყველაზე მსხვილი იმპორტიორ/რეალიზატორი, ფილიალების რაოდენობის მიხედვით, სავაჭრო ობიექტი „ელიტ-ელექტრონიქსია“, რომელიც ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე 1996 წლიდან გამოჩნდა. ამჟამად ქსელი 26 ფილიალითაა წარმოდგენილი.

შეგახსენებთ, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის ახალი რეგულაციები ამოქმედდა. კერძოდ, ბანკებს დაუწესდათ შეზღუდვა სესხის გაცემის პოლიტიკასთან დაკავშირებით – მათ უწევთ, უფრო მკაცრად შეაფასონ მომხმარებლის (სესხის მსურველის) გადახდისუნარიანობა, შესაბამისად, გაამკაცრეს სესხების გაცემის პოლიტიკაც.

# გენგეგმა, ელიავას ბაზრობა და გაუხმაურებელი სასამართლო პროცესები

გენგეგმის დამტკიცების მოახლოებასთან ერთად, ელიავას ბაზრობის საკითხი ისევ გააქტიურდა. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, რომელიც „სითი ინსტიტუტმა“ შექმნა მერიის დაკვეთით, ელიავას ბაზრობა, მიმდებარე განვითარებები საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას და გარემოს დეგრადირებას იწვევს. პროექტის ავტორები კერძო საკუთრების გადატანის და იქ რეკრეაციული ზონის გაშენების რეკომენდაციას იძლევიან.

თუმცა, სულ სხვა მოსაზრება აქვს ქალაქის მერს. კახა კალაძემ ამის შესახებ კომენტარი რამდენჯერმე და ცალსახად გააკეთა.

კახა კალაძემ ელიავას ბაზრობასთან დაკავშირებული კითხვის პასუხად აღნიშნა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა კონკრეტიკას არ ითვალისწინებს. მისივე თქმით, გენგეგმაში წერია, რომ უნდა განისაზღვროს, როგორ და რა ფორმით უნდა მოხდეს ამ ტერიტორიის განვითარება.

კალაძის განცხადებით, კონკრეტულ გადაწყვეტილებას მოვაჭრეებთან შეხვედრის შემდეგ მიიღებენ.

– ზოგიერთი სააგენტო ავრცელებს არასწორ ინტერპრეტაციას და არასწორ ინფორმაციას ელიავას ბაზრობასთან დაკავშირებით. არავის მივცემთ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის უფლებას და შესაძლებლობას. კიდევ ერთხელ ვაკეთებ განმარტებას. ელიავას ბაზრობის ტერიტორია კერძო საკუთრებაა და ჩვენი ხელისუფლების პირობებში, კერძო საკუთრებას კანონდარღვევით არასდროს შევხებივართ და ვერავინ გაბედავს ამას.

ჩვენ მეპატრონეებს შევხვდებით. აქ ორი მიმართულებაა – თუ მოხდება ბაზრობის გადატანა, რა თქმა უნდა, მათი თანხმობა უნდა იყოს, რადგან ეს კერძო საკუთრებაა. ჩვენ მზად ვართ, გამოვყოთ ახალი ტერიტორია, რომელიც ყველანაირად კეთილმოწყობილი იქნება; იმ სიმახინჯეების მაგივრად, რაც დღეს არსებობს, უნდა შეიქმნას და აშენდეს ახალი თანამედროვე, ყველანაირი სტანდარტის შესაბამისი მულტიფუნქციური ცენტრი, სადაც ამ ადამიანებს შეეძლებათ იმ საქონლის გაყიდვა, რითაც დღეს ვაჭრობენ და არა ისე, როგორც დღესაა წარმოდგენილი. ეს, პირველ რიგში, პრობლემას წარმოადგენს იქ მომუშავე და მცხოვრები ადამიანებისთვის, ზოგადად ქალაქისთვის. გენერალური გეგმა ვერ იტყოდა კონკრეტიკას, ის ზოგადი დოკუმენტია, – განაცხადა კალაძემ.



რა ბედი ელის კერძო საკუთრებას და რას ფიქრობენ თავად მეპატრონეები განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით?

ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ **შპს „სანაპირო საინვესტიციო ჯგუფის“ (ე.წ. „ელიავას ბაზრობას“ უჭირავს 15 ჰექტარი მიწის ფართობი, აქედან 7 ჰექტარი შპს „სანაპირო საინვესტიციო ჯგუფის“ საკუთრებაშია) იურიდიული სამსახურის უფროსს, ადვოკატ გიორგი ლომსიანიძეს.**

– თბილისის, დიდუბის რაიონის ეს მნიშვნელოვანი ნაწილი, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურბანულ, ქალაქწარმომქმნელ ბაზას წარმოადგენს, რომელსაც, გარდა ეკონომიკური მნიშვნელობისა, უდიდესი სოციალური დატვირთვა გააჩნია. ხაზი გვინდა გავუსვათ, რომ ქალაქის ეს რაიონი დედაქალაქში ყველაზე მაღალი ეკონომიკური აქტიურობით გამოირჩევა, სადაც ათასობით და ათი ათასობით ადამიანი არის თვითდასაქმებული. სწორედ ამ არეალში, ბოლო ათწლეულებში ბუნებრივად ჩამოყალიბდა ურბანული გარემო, რომელსაც თბილისელები ე.წ. „ელიავას ბაზრობას“ უწოდებენ. ე.წ. „ელიავას ბაზრობა“ განთავსებულია 15,5 ჰა. მიწის ნაკვეთიდან 11,3 ჰა. ფართზე. დარჩენილი ფართი მოიცავს გზებსა და გამწვანებულ არეალებს.

***– რამდენი ადამიანი ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას ამ ტერიტორიაზე და ვინ არიან მესაკუთრეები?***

– ამ სივრცეში დარეგისტრირებულია რამდენიმე ათასი იურიდიული თუ ფიზიკური პირი, რომელთა მიერ დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი რამდენიმე ათასს აღწევს, ხოლო მათი ბიზნესსაქმიანობიდან ბიუჯეტში ყოველწლიურად საშუალოდ 300-500 მილიონ ლარი მიემართება. რაც შეეხება მესაკუთრეებს, აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა და დღეის მდგომარეობით ტერიტორიის მეპატრონე 150-მდე იურიდიული და ფიზიკურ პირია. ხოლო ყველაზე მსხვილ მესაკუთრეს ჩვენი კომპანია წარმოადგენს.

***– არაერთგზის განაცხადეთ, რომ კომპანიას უკვე დიდი ხანია აქვს ხედვა თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ტერიტორიის განვითარება. ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ ამ მიზნით რამდენიმე პროექტიც გაქვთ შემუშავებული, რომელთა ავტორები ცნობილი არქიტექტორები არიან. თუ ეს ასეა, რატომ არ ხდება ამ პროექტების რეალიზება და რა გიშლით ამაში ხელს?***

– შპს „სანაპირო საინვესტიციო ჯგუფის“ საკუთრებაშია ე.წ. „ელიავას ბაზრობის“ ტერიტორიის 7 ჰექტარი მიწის ფართობი (სულ ე.წ. „ელიავას ბაზრობას“ უჭირავს 15 ჰა), ჩვენ ჯერ კიდევ 2012 წლიდან გადავდგით კონკრეტული ნაბიჯები, რათა ჩამოყალიბებულ სავაჭრო გარემოსათვის მიგვეცა თანამედროვე სახე. დღემდის, ვიდრე განვითარების დაბრკოლება არ მოხდებოდა, ჩვენ მიერ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, აშენებულია დაახლოებით 17 000 კვ. მეტრი ახალი სავაჭრო დანიშნულების არეალები. საზოგადოდ ე.წ. „ელიავას ბაზრობის“ ტერიტორიაზე აშენებულ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი აღემატება 35.000 კვ.მ-ს.

ამ ტერიტორიის ცივილიზებული მოწყობის და განვითარების მიმართულებით ჩვენ, ჯერ კიდევ 2015 წელს ქალაქის მაშინდელ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით და მათი უშუალო მითითებით შევიმუშავეთ ჩვენს საკუთრებაში არსებული 7 ჰექტარი სივრცის განვითარების ესკიზური პროექტი – „ელიავა რეგიონალური მოლი“ და შესაბამისი გარემოს განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც თბილისის არქიტექტურის სამსახურში დასამტკიცებლად შევიტანეთ. აქვე განვმარტავ, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმას ახლავს ორი ეტაპი ანუ ეტაპი პირველი გეგმარებითი დავალების დამტკიცება და მეორე ეტაპი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება.

ორთავე ეტაპზე საკრებულოს თანხმობა არის საჭირო, პირველ ეტაპზე გეგმარებითი დავალება შეთანხმებული არის ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურთან ანუ ქალაქის მერიასთან, ასევე ქ. თბილისის საკრებულოსთან, რომლითაც კიდევ ერთხელ დადგინდა ფუნქციონალურ ზონირებასთან დაკავშირებული პარამეტრები. რაც შეეხება მეორე ეტაპს, გარკვეული შესწორების შეტანის შემდეგ მოხდა მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ ამ გრგ-ს მიღება და თბილისის საკრებულოში დასამტკიცებლად გადაგზავნა. ჩვენდა სამწუხაროდ, საკრებულომ გაურკვეველი მიზეზების გამო, დღემდე არ მოახდინა ამ გრგ-ს დამტკიცება, რის გამოც დღესაც მიმდინარეობს სასამართლო პროცესი.

რაც შეეხება პროექტს, პროექტი ითვალისწინებს თანამედროვე სავაჭრო-გასართობი და დასასვენებელი ურბანული გარემოს მოწყობას, მათ შორის ათასობით კვადრატული მეტრი გამწვანებული ფართის ფორმირებით და მოწესრიგებით. შექმნილი მასტერპლანის მიხედვით, აშენდება სავაჭრო, გასართობი და დასასვენებელი სივრცეები, მოეწყობა მიწისქვეშა პარკინგი. ასევე დაგეგმილია უნიკალური ვერტიკალური მწვანე მოლის შექმნა.

***– თქვენ ახსენეთ, რომ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი რომელიც მედიისათვის და საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის. კონკრეტულად რას საკითხს ეხება დავა, ამჟამად რა ეტაპზეა საქმე და თქვენ, როგორც იურისტს, რა მოლოდინები გაქვთ.***

– დავის საგანს წარმოადგენს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება – არ დამტკიცებაზე თბილისის საკრებულოსგან არგუმენტირებული პასუხის მიღების მოთხოვნა. კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე, ჩვენი კანონიერი უფლებების დაცვის გარანტად სასამართლო ხელისუფლება ჩავთვალეთ, რადგან ქ. თბილისის საკრებულოსგან ვერანაირ პასუხს ვერ ვიღებდით და პასუხი უკიდეგანოდ ჭიანურდებოდა, რაც მომაკვდინებელია ბიზნესისათვის, იძულებულნი გავხდით მიგვემართა სასამართლოსათვის, რომლის მთავარი მიზანი იყო მიგვეღო პასუხი ქ. თბილისის საკრებულოსაგან. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლომ დაადგინა და დაავალა ქ. თბილისის საკრებულოს, მოგვცეს დასაბუთებული, არგუმენტირებული კანონის მოთხოვნების შესაბამისი პასუხი, სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ამჟამად უზენაეს სასამართლოში არის გასაჩივრებული ქ. თბილისის საკრებულოს მიერ. რაც შეეხება მოლოდინს, აღნიშნული გადაწყვეტილება დარჩება უცვლელი, რის საფუძვლიან ვარაუდს მაძლევს საქმის გარემოებები და წინა ინსტანციების გადაწყვეტილებები.

***– გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქალაქ თბილისის მერია უახლოეს პერიოდში წარმოადგენს პასუხს და ხედვას ელიავას ბაზრობასთან დაკავშირებით როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი მონაწილეობა ამ პროცესში?***

– ჩვენ მზად ვართ მივიღოთ მონაწილეობა დედაქალაქის წინაშე მდგარი საჭირბოროტო საკითხების გადაჭრაში და, ბუნებრივია, გვაქვს სურვილი, გავაგრძელოთ იძულებით შეჩერებული განვითარების პროცესი. ჩვენი მიზანია წარმატებული საერთაშორისო გამოცდილების მსგავსად შევქმნათ თვითმმართველობისა და კერძო სტრუქტურების ნაყოფიერი თანამშრომლობის კარგი მაგალითი.

**აიპრესს**

# „ფული რომ ვერ მივეცი, სკამზე დამაბეს და მოკვლას მიპირებდნენ“

## ბათუმში 84 წლის ქალი გაძარცვეს



გუშინ, 13 თებერვალს, ბათუმში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მცხოვრები 84 წლის ქალი გაძარცვეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ.

მისი განმარტებით, სახლში მარტო იმყოფებოდა, როდესაც ორი მამაკაცი გაზის ინკასატორებად გაეცნო და სახლში მოტყუებით შეაღწია.

მოხუცის თქმით, მძარცველებმა იგი სკამზე დააბეს, შემდეგ კი ოქრო და ძვირფასეულობა წაიღეს.

– სახლში მარტო ვიყავი, როდესაც ორი მამაკაცი მოვიდა და მითხრა, რომ გაზის ქვითარი მოიტანეს. ისინი სახლში შემოვიპატიჟე და ყავა შევთავაზე. როდესაც მეორე ოთახში გავედი, ერთ-ერთმა მამაკაცმა კარი ჩაკეტა. ფულს მთხოვდნენ. ფული რომ ვერ მივეცი, სკამზე დამაბეს და მოკვლას მიპირებდნენ.

ამ დროს ოქროს და ძვირფასეულობას მთხოვდნენ, მათ ყველაფერი იპოვეს და წაიღეს. რამდენიმე წუთში შევძელი, მეზობლებისთვის დამეძახა და სამართალდამცველები გამოვიძახეთ, – განაცხადა დაზარალებულმა ხუტა ბელქანიამ.

სასწრაფო დახმარების ბრიგადამ დაზარალებული საავადმყოფოში გადაიყვანა. მას სხეულის ზედაპირული დაზიანება აღენიშნებოდა.

შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები მუშაობდნენ.

# სოციალური კაფე „ახალი მზიური“ გაქურდეს

## მხილებულია 4 არასრულწლოვანი



შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ ქურდობის ფაქტზე ამხილეს 4 არასრულწლოვანი: 2004 წელს დაბადებული გ.ვ., 2005 წელს დაბადებული ს.დ., 2002 წელს დაბადებული ა.ჩ. და 2004 წელს დაბადებული მ.ბ.

გამოძიებით დადგინდა, რომ მხილებულმა არასრულწლოვნებმა თბილისში, პარკ „მზიურში“ სოციალური კაფე „ახალი მზიური“ გაქურდეს, საიდანაც ლეპტოპი, მობილური ტელეფონი, აიპადი და 178 ლარი მოიპარეს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

„დადგინდა, რომ არასრულწლოვნებმა, ასევე, გაქურდეს მაღაზია „აიტექნიკი“, საიდანაც სხვადასხვა სახის ტექნიკა მოიპარეს. სამართალდამცველებმა ნაქურდალი ნივთების ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით“ – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ანზორ აბრალავა: „ჩემს შვილს ბრალი არ უმტკიცდება“

## ნორვეგიაში ვანო ზარდიაშვილის სხვა ახლობელიც დააკავეს





– ჩვეულებრივი, ენერგიული ახალგაზრდაა, მაგრამ მას მსგავსი რაღაცის მიდრეკილება საერთოდ არ გააჩნია. შინაგანად არ არის ასეთი, რომ რაღაც აიღოს, ამას გამოვრიცხავ, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ვანო ზარდიაშვილის სიმამრმა, ანზორ აბრალავამ განუცხადა.

ის კატეგორიულად გამორიცხავს მისი შვილის, გრიგოლ აბრალავას მიერ ნორვეგიაში ქურდობის ჩადენის ფაქტს.

– ჩემ შვილს გუშინწინ ვესაუბრეთ. როდის დააკავეს, არ ვიცი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა დაკავება, მაგრამ როგორც მე ვიცი, მას ბრალი არ უმტკიცდება. ამას რატომ არ აცხადებენ? გაირკვევა ყველაფერი, მის წინააღმდეგ სამხილი არ არის. ჩვეულებრივი, ენერგიული ახალგაზრდაა, მაგრამ მას მსგავსი რაღაცის მიდრეკილება საერთოდ არ გააჩნია. შინაგანად არ არის ასეთი, რომ რაღაც აიღოს, ამას გამოვრიცხავ.

რუსთავი 2-ს უნდა ასე გაასაღოს. ტექნიკას იპარავდნენო. სარეცხი მანქანა, მაცივარი უნდა გამოეტანა? – ეს დაბალი პროფესიული დონეა. ჩამოვა და ყველაფერს პასუხს გასცემს, პასუხის გაცემის სხვადასხვა ფორმა არსებობს და ამის შესაძლებლობა ადამიანს უნდა მიეცეს, – აღნიშნა აბრალავამ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებს, რომ ნორვეგიაში საქართველოს სამი მოქალაქე დააკავეს, რომელთა შორისაც ერთ-ერთი გრიგოლ აბრალავაა. აბრალავა უმრავლესობის წევრის, ვანო ზარდიაშვილის ცოლისძმაა.

გრიგოლ აბრალავა ბოლო წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ თანამშრომელი იყო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ აუდიტის სამსახურში განუცხადეს, აბრალავამ იანვრის ბოლოს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება დაწერა, „იქამდე კი შვებულება აიღო“.

გრიგოლ აბრალავასთან ერთად ნორვეგიაში დააკავეს თბილისის მერიის დასუფთავების სამსახურის ისნის განყოფილების უფროსი გიორგი კიკნაძე, რომელმაც ნორვეგიაში წასვლამდე, ასევე, შვებულება დაწერა და ამ დრომდე მერიის მოქმედ თანამშრომლად ითვლება. კიდევ ერთი დაკავებული პირი კი გრიშა მარღანიაა.

სამივე მათგანი ერთმანეთის ახლობელია.

კიკნაძე რამდენიმე წლის წინ ისნის გამგეობაში მუშაობდა, თუმცა მას შემდეგ, რაც კიკნაძემ გამოცდები ვერ ჩააბარა, დასუფთავების სამსახურში დაასაქმეს. პარალელურად კი ის ისანში „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის ხელმძღვანელია.

ვანო ზარდიაშვილი, „კურიერის“ ინფორმაციით, გიორგი კიკნაძის შვილის ნათლიაა. ისინი ერთობლივად ფლობენ ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე კომერციულ ფართს, რომელსაც ბიზნესსაქმიანობისთვის იყენებენ.

კიკნაძე ხშირად მონაწილეობს თვითმმართველობის ორგანოს ღონისძიებებში, სადაც ის საკრებულოს დეპუტატ ნინო ლაცაბიძესთან ერთად ჩნდება.

# „ის ხშირად იმუქრებოდა სახლის დაწვით“

## 27 წლის დ.ვ.-მ დედას სცემა და მიიმალა



როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, დაკავებული დ.ვ. იმ საცხოვრებელი სახლის მეპატრონეა, სადაც რამდენიმე საათის წინ ხილიანზე ხანძარი გაჩნდა.

შს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ოჯახში ძალადობის ბრალდებით, 1989 წელს დაბადებული დ.ვ. დააკავეს. დანაშაული 2-წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 10 თებერვალს თბილისში, ს.ჩიქოვანის ქუჩაზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლში დედას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. იმავე დღეს სამართალდამცველებმა დაზარალებული თავშესაფარში გადაიყვანეს. პოლიციამ დ.ვ., ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის ჩადენიდან ორ დღეში დააკავა.

გამოძიება ოჯახში ძალადობის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით“ – აცხადებენ შს სამინისტროში.

ხილიანზე, სადაც 12 თებერვალს საცხოვრებელი სახლი დაიწვა, მეზობლები ვარაუდობენ, რომ ხანძარი განზრახ არის გაჩენილი.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ადგილობრივებმა განუცხადეს, საცხოვრებელი სახლის მეპატრონე ხშირად იმუქრებოდა სახლის დაწვით. მათივე თქმით, 27 წლის მამაკაცი, რომელიც ამ სახლში ცხოვრობდა, გამოირჩეოდა აგრესიული ქმედებებით და საკუთარ სახლს განზრახ ცეცხლი შარშანაც გაუჩინა.

მეზობლების ინფორმაციითვე, ხანძრის გაჩენამდე მამაკაცი ფიზიკურად გაუსწორდა დედას, რის შემდეგაც სახლს ცეცხლი გაუჩნდა.

ოჯახის დიასახლისი ცოცხალია და ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარშია გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დედის მიმართ განხორციელებული ძალადობის ბრალდებით თბილისში მამაკაცი დააკავა.

# მთავარმა პროკურატურამ „პალიტრამედიის“ სტამბიდან ამოღებული დოკუმენტაცია კომპანიას უკან დაუბრუნა

მთავარმა პროკურატურამ „პალიტრამედიის“ სტამბიდან (შპს „კოლორპაკი“) ამოღებული დოკუმენტაცია კომპანიას უკან დაუბრუნა.

როგორც მთავარი პროკურატურის მიერ შპს „კოლორპაკისთვის“ გამოგზავნილ წერილშია ნათქვამი, დოკუმენტაციის შესწავლა დასრულებულია და გამოძიებას „კოლორპაკის“ მიმართ კითხვები არ გააჩნია.

„მოცემულ საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე, შპს „კოლორპაკი“-დან ამოღებულ იქნა გარკვეული სახის დოკუმენტაცია, რომელთა შესწავლა დღეის მდგომარეობით დასრულებულია.

იმის გათვალისწინებით, რომ გამოძიება არ მიმდინარეობს შპს „კოლორპაკი“-ს მიმართ და გამოძიებას მის მიმართ კითხვები არ გააჩნია, უახლოეს პერიოდში იგეგმება ამოღებული დოკუმენტაციის კომპანიისთვის დაბრუნება“ – ნათქვამია პროკურატურის მიერ კომპანიისთვის 6 თებერვალს გაგზავნილ წერილში.

შეგახსენებთ, რომ მთავარი პროკურატურის გამომძიებლები „პალიტრამედიის“ სტამბა (შპს „კოლორპაკში“) 24 სექტემბერს შევიდნენ და მოითხოვეს 01.01.14-დან 11.09.18-ის ჩათვლით „სრული სამართლებრივი, საბუღალტრო, ფინანსური და ეკონომიკური დოკუმენტაცია (დედანი) და საწარმოს ამავე პერიოდის კორესპონდენცია (დედანი)“.



როგორც მთავარი პროკურატურის მიერ 25 სექტემბერს გავრცელებულ განცხადებაში იყო ნათქვამი, „კოლორპაკიდან“ დოკუმენტაციის ამოღება სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში, ცალკეულ საჯარო მოხელეთა მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების შესაძლო გაფლანგვის ფაქტებზე უწყებაში დაწყებულ გამოძიებას უკავშირდებოდა.

# გოგიტა ირემაძე სიკვდილის წინა დღეს დახმარებას ითხოვდა

## „საკუთარ სისხლში აბანავა და მოკლა მისივე გაზრდილი დისშვილი“



13 წლის გოგიტა ირემაძე, რომელიც ბიძამ, ვალერი ირემაძემ მოკლა, მკვლელობამდე 1 დღით ადრე დახმარებას ითხოვდა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, მოზარდი ეზოში მყოფ მეზობლებს უყვებოდა, რომ ბიძამისი ბაბუას ფიზიკურად უსწორდებოდა.

რას აცხადებენ ის მამაკაცები, რომლებიც ბინაში პირველები შევიდნენ, რა ვითარება დახვდათ სახლში და ვის აკისრებენ პასუხისმგებლობას? – „ინფო რუსთავი“ მკვლელობაში ბრალდებულის ახლობლებს ესაუბრა.

– ფსიქიატრთან რომ მივიყვანეთ, ავუხსენით, ვიყავით მეგობრები, მეუღლე და ბიძამისი. გასაგებად უთხრეს, რომ პაციენტს მოლანდებები აწუხებდა, მოჩვენებები, ვიღაცები ელაპარაკებოდნენ, რაღაც სქემები ჰქონდა, ვიღაცების დაჩეხვა უნდოდა, რასაც უბრალოდ მოჰყვა ორწუთიანი დალაპარაკება, შეიყვანა ოთახში ორი წუთის განმავლობაში, რაღაცას ელაპარაკებოდა, გამოვიდა და ფსიქიატრმა ჩათვალა, რომ ეს ადამიანი იყო სრულიად ჯანმრთელი და ადეკვატური.

მაინტერესებს, ფსიქიატრმა ორ წუთში როგორ უნდა გაიგოს, სრულიად შეშლილი ადამიანი არის ჯანმრთელი, როცა მან ასეთი საზარელი მკვლელობა ჩაიდინა, მაინტერესებს, რატომ არ ჩაუტარეს მას რაიმე სახის პროცედურა, ამაზე ვითხოვთ პასუხს, მივიყვანეთ და უკან გამოგვატანეს.

ფსიქიატრიულშიც და ნარკოლოგიურშიც თანხა მოგვთხოვეს და პასუხი უნდა აგონ ამ ყველაფერზე. ფსიქიკურად შეშლილი ადამიანი, რომელიც ეგონათ, რომ იყო ადეკვატური და სრულიად ჯანმრთელი, რომელმაც 14 ჭრილობა მიაყენა ბავშვს და სადისტურად აწამა საკუთარ აბაზანაში, საკუთარ სისხლში აბანავა და მოკლა მისივე გაზრდილი დისშვილი, – განაცხადა ბრალდებულის მეგობარმა.

ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკოლოგიის პრევენციის ცენტრში აცხადებენ, რომ მოქალაქემ თავად თქვა მკურნალობაზე უარი, ამავდროულად, მას არ აღენიშნებოდა აქტიური ფსიქოზი და გარშემომყოფებისთვის საშიში მოცემულ მდგომარეობაში არ ყოფილა.

## ნარკობარონი „ელ ჩაპო“, რომელმაც აშშ-ში 155 ტონა კოკაინი შეიტანა, დამნაშავედ ცნეს

აშშ-ში, ბრუკლინის ფედერალურ სასამართლოში ნაფიცმა მსაჯულებმა ნარკობარონი, მექსიკური ნარკოკარტელის „სინალოას“ ლიდერი ხოაკინ („ელ ჩაპო“) გუსმანი დამნაშავედ ცნეს.

აღნიშნული სასამართლო პროცესი 4 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ხოაკინ გუსმანს ბრალად ედებოდა აშშ-



ში 155 ტონა კოკაინის და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების შეტანა.

ხოაკინ გუსმანი მექსიკური ნარკოკარტელის „სინალოას“ ხელმძღვანელი იყო. 2012 წელს ის მექსიკაში დააკავეს, თუმცა შემდეგ გაქცევა მოახერხა. 2016 წელს მექსიკელმა სამართალდამცველებმა ის კვლავ დააკავეს, რის შემდეგაც მისი ექსტრადირება მოხდა აშშ-ში.

გასული წლის ნოემბერში სასამართლომ მისი საქმის განხილვა დაიწყო.

სასამართლო ვერდიქტს მიმდინარე წლის ივნისში გამოიტანს და, სავარაუდოდ, მას სამუდამო პატიმრობა მიესჯება.

## მოსკოვთან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის თანამშრომელი მოკლეს




მოსკოვთან ორი ნიღბოსანი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის თანამშრომელ დიმიტრი გრაბოვს თავს დაესხა. მას მხეცურად სცემეს. მძიმედ დაშავებული გრაბოვი საავადმყოფოში მოხვდა.

გრაბოვი რეანიმაციაში გარდაიცვალა.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

## ვენესუელა იმედსა და კატასტროფას შორის



ვენესუელაში მდგომარეობა იძაბება. ოპოზიციის ლიდერმა და პარლამენტის სპიკერმა გუაიდომ ახალი აქციები დააანონსა. პრეზიდენტმა მადურომ პასუხად განაცხადა, რომ გადადგომას არ აპირებს. ოპოზიცია მან ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურთან კავშირში დაადანაშაულა. მადურო ამტკიცებს, რომ ოპოზიციას ხალხში მხარდაჭერა არა აქვს, ამიტომ მთავარ იმედს ამერიკულ ინტერვენციაზე ამყარებს.

– ამერიკელები ვერას დაგვაკლებენ! ჩვენ რუსეთში უამრავი რაკეტა შევიძინეთ! თუ იანკები შემოგვივარდებიან, შავ დღეს დავაყრით! – იმუქრება მადურო.

პუტინის თანაშემწე პესკოვმა ვენესუელის პრეზიდენტის ამ სიტყვებზე კომენტარი არ გააკეთა. ვენესუელელი უფლებადამცველი რაფო კი აცხადებს, რომ ქვეყანაში ძალზე მძიმე მდგომარეობაა.

უფლებადამცველის აზრით, ჩავესის, შემდგომში კი მისი მემკვიდრის მადუროს სოციალისტურმა ექსპერიმენტმა ქვეყანა ჩიხში შეიყვანა. დამყარებულია ავტორიტარული რეჟიმი, ყვავის ნარკობიზნესი, კორუფცია, ეკონომიკა საბოლოოდ მოიშალა.

– ვენესუელა კატასტროფისკენ მიექანება, – აცხადებს რაფო.

უფლებადამცველი საგანგებოდ შეჩერდა რუსეთის დესტრუქციულ როლზე. რაფომ ხაზი გაუსვა, რომ რუსული კომპანიები ფლობენ მიწის ნაკვეთებს ვენესუელაში, რაც უზარმაზარ მოგებას აძლევთ. მადურომ რუსულ ბიზნესს საუკეთესო პირობები შეუქმნა. რუსებიც მდიდრდებიან, ვენესუელა კი ღატაკდება.

– გასაგებია, თუ რატომ უჭერს კრემლი მხარს მადუროს! მოსკოვისთვის მისი ხელისუფლებაში დარჩენა ხელსაყრელია, ვენესუელელებისთვის კი კატასტროფაა, – მიიჩნევს რაფო.

შექმნილ ვითარებაში ვენესუელის მოსახლეობა იმედს ოპოზიციაზე ამყარებს. უნდა ჩატარდეს დემოკრატიული, გამჭვირვალე არჩევნები, ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს, თუ ვინ იქნება მისი ხელისუფალი და რა კურსს აირჩევს ქვეყანა.

მადურო და მისი გენერალიტეტი ამას ეწინააღმდეგებიან. დემოკრატიული არჩევნების შემთხვევაში ისინი ძალაუფლებას დაკარგავენ. მადუროს აქტიურად უჭერს მხარს კრემლი. მდგომარეობაც იძაბება.

– მადუროს ხელისუფლებაში დარჩენა გარდაუვალ კატასტროფას ნიშნავს. დემოკრატიულ ძალთა გამარჯვება კი გარკვეულ იმედს გვაძლევს, – ამბობს რაფო.

## მაიკ პომპეო სლოვაკეთში ჩავიდა



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო აღმოსავლეთ ევროპაში ტურნეს განაგრძობს. უნგრეთის შემდეგ ის სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავას ესტუმრა. პომპეო შეხვდა სლოვაკეთის პრეზიდენტს და საგარეო საქმეთა მინისტრს.

ჟურნალისტებთან საუბარში პომპეომ განაცხადა, რომ რუსეთი და ჩინეთი აღმოსავლეთ ევროპაში მკვეთრად გააქტიურდნენ. ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ თითქოს დემოკრატიამ გაიმარჯვა, მაგრამ ზეიმი ნაადრევი აღმოჩნდა. ახლა დემოკრატია საფრთხეშია.

– აღმოსავლეთ ევროპას რუსული გავლენის აღდგენა ემუქრება, – თქვა პომპეომ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ ამერიკა ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ რუსეთმა აღმოსავლეთ ევროპაში პოზიციები არ აღიდგინოს.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

### კალეიდოსკოპი

## მულტიმილიონერმა საკუთარი სოფელი საჩუქრებითა და ფულით აავსო



ჩინეთში მულტიმილიონერი ახალი ღორის წლის დადგომასთან დაკავშირებით საკუთარ მშობლიურ სოფელს ესტუმრა და მის მცხოვრებლებს მილიონობით იუანის საჩუქრები დაურიგა.

ჩჟენ დაცინი, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი კორპორაციის ხელმძღვანელია, სიჩუანის პროვინციის სოფელ დინციციაოში შვეულმფრენით ჩაფრინდა და იქ რამდენიმე დღე გაატარა. მთელი ამ ხნის მანძილზე 60 წლის ბიზნესმენი თანასოფლელებს ხვდებოდა და ყველა 50 წელს მიღწეულს საჩუქრებს ურიგებდა.

სოფლის თავმჯდომარის მო ლიანიას თქმით, ჩჟენმა თანასოფლელებს ცხრა მილიონ იუანამდე ნაღდი ფული დაურიგა, ასევე ისინი დაასაჩუქრა საყოფაცხოვრებო ტექნიკით, მათ შორის კონდინციონერებით, ტელევიზორებით და მაცივრებით, რომელთა საერთო ღირებულებამ სამი მილიონი იუანი შეადგინა.

გარდა საჩუქრებისა, ჩჟენმა სოფლის ყველაზე ხანდაზმული მცხოვრებლები შვეულმფრენით გაასეირნა. შვეულმფრენით სასეირნოდ ყველა 60 წელს გადაცილებულს იწვევდნენ, თუმცა გაფრენის წინ მათ ჯანმრთელობას ექიმები ამოწმებდნენ.

ჩჟენი სოფლის ღარიბ ოჯახში დაიბადა. სკოლის დამთავრების შემდეგ მან ჯარში იმსახურა, შემდეგ კი მშობლების ფერმაში დაბრუნდა. 1985 წელს ის ურუმჩიში მცირე ბარგით და საფულეში რამდენიმე მონეტით გაემგზავრა. ათი წლის შემდეგ კი მან დააარსა კომპანია. ამჟამად ჩჟანის კორპორაციაში 16 შვილობილი ენერგეტიკული, სამშენებლო და სხვა კომპანია შედის.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## დაღუპული ქალების მპოვნელი ძაღლი დააჯილდოვეს



არგენტინაში გერმანულმა ნაგაზმა ჯილდოდ ათას დოლარზე მეტი მიიღო დაკარგული ებრაელი ტურისტი ქალებიც ცხედრების აღმოჩენისთვის. აღნიშნული თანხა კინოლოგიური კლუბის განვითარებას მოხმარდება.

მიკრობიოლოგიის 54 წლის პროფესორის ლილი პერეზის და მისი დის, 63 წლის პირია სარუსის ნათესავები მათთან დაკავშირებას 12 იანვრიდან ველარ ახერხებდნენ. მათი ძებნა ადგილობრივმა პოლიციამ დაიწყო, მაგრამ ქალების ცხედრების პოვნა ადგილობრივი კინოლოგიური კლუბის გერმანულმა ნაგაზმა, სახელად რუკმა შეძლო.

ტურისტების ცხედრები მენდოსას პროვინციაში სარუსის შვილის ჯილ პერეგის სახლში სამშენებლო ნაგვის გროვაში იპოვეს.

რუკამ და მისმა მწვრთნელმა კინოლოგმა ეილინ კასტრომ ებრაული საზოგადოებისგან ჯილდოდ 1,3 ათასი დოლარი მიიღეს. ასევე კასტროს პირადი ფულადი ჯილდო გადაეცა, ვინაიდან ასეთი იყო დაღუპულების ნათესავების სურვილი.

ქალების ცხედრები ისრაელში გადაასვენეს, ხოლო არგენტინაში ჯილ პერეგი დედისა და დეიდის მკვლელობის ბრალდებით პატიმრობაშია აყვანილი.


## განცხადებები

### სხვადასხვა

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# პსჟ მშვიდად არის, რომას პორტუგალიაში ელოდებიან

**<u>რომა-პორტუ 2:1</u>**

**რომი.** სტადიო ოლიმპიკო
1:0, 2:0 ძანიოლო (70, 76), 2:1 ლოპესი (79)

**რომა:** მირანტე, ფლორენცი, მანოლასი, ფაციო, კოლაროვი, პელეგრინი (ნზონზი 83), დე როსი, კრისტანტე, ძანიოლო (სანტონი 87), ჯეკო, ელ შაარავი (კლუივერტი 90)

**პორტუ:** კასილიასი, მილიტაო, ფელიპე, პეპე, ალექს ტელეში, ერერა, დანილო, ფერნანდო (ანდრე პერეირა 76), ოტავიო (ერნანი 84), სოარეში, ბრაჰიმი (ადრიან ლოპესი 68)

თავიდანვე ნათელი იყო, რომ ამ წყვილს გამოკვეთილი ფავორიტი არ ჰყავდა. ასეა პირველი მატჩის შემდეგაც – რა მოხდება პორტუგალიაში, წინასწარ ვერავინ გათვლის. ორივე გუნდს შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი აქვს და ამისთვის ყველაფერს გაიღებენ.

თავდაპირველად ორივე გუნდი ფრთხილობდა. რომა უფრო აქტიური იყო, მაგრამ პორტუგალიელთა დაცვა ბევრი არაფრის შექმნის საშუალებას არ აძლევდა. რომაელები იკერ კასილიასს პერიოდულად კი აწუხებდნენ, მაგრამ პირველ ტაიმში მხოლოდ ერთი სახიფათო მომენტი ვიხილეთ, როდესაც ედინ ჯეკომ ძელს გაარტყა ბურთი.




შესვენების შემდეგაც უპირატესობა რომას მხარეს იყო, მაგრამ გოლის გატანა პორტუს შეეძლო. თუმცა, ტაიმის შუაში რომას მეორე სუნთქვა გაეხსნა და ჯეკოს პასით ნიკოლო ძანიოლიმ ანგარიში გახსნა. 19 წლის ვუნდერკინდი ამაზე არ გაჩერდა და ხუთიოდე წუთში სულაც დუბლი შეასრულა, რითიც ყველაზე ახალგაზრდა იტალიელი გახდა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაზე ერთ მატჩში 2 გოლი გაიტანა.

რომას ორბურთიანი ჰანდიკაპი რომ შეენარჩუნებინა, პორტუგალიაში გალებით იმედიანად ჩავიდოდა, მაგრამ მალევე ცოტა კურიოზული გოლი გაუშვა და საქმე გაირთულა.

საბოლოოდ, რომამ 2:1 მოიგო, პორტუმ კი, მიმდინარე გათამაშებაში პირველი მატჩი წააგო, თუმცა, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი დაიტოვა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ნიკოლო ძანიოლი**

ახალგაზრდა შემტევი მარტო სერია ა-ში არ გამოირჩევა. აგერ ჩემპიონთა ლიგაზეც დაგვანახა, რომ მომავლის ფეხბურთელია. 2 გოლი გაიტანა და უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ცივსისხლიანად შეასრულა, როგორც ეს ჩამოყალიბებულ ოსტატებს სჩვევიათ.

**ეუსებიო დი ფრანჩესკო:**

– ერთი ბურთით მოგება დავიმსახურეთ. საწყენია, რომ საკუთარ კარშიც გავუშვით გოლი, მაგრამ, რა გაეწყობა, ეს ფეხბურთია. ყოველ შემთხვევაში, პორტუგალიაში ერთბურთიანი უპირატესობით მივემგზავრებით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საყაიმო ანგარიში ხელს გვაძლევს, ფრეზე მაინც არ ვითამაშებთ. იქაც გასატანად და მოსაგებად ჩავალთ.

**<u>მანჩესტერი-პარი სენ ჟერმენი 0:2</u>**

**მანჩესტერი.** ოლდ ტრაფორდი
0:1 კიმპემბე (53), 0:2 მბაპე (60)

**მანჩესტერი:** დე ხეა, იანგი, ბაი, ლინდელოფი, შოუ, ერერა, მატიჩი, პოგბა, ლინგარდი (სანჩესი 45), რეშფორდი (ლუკაკუ 84), მარსიალი (მატა 46)

**პარი სენ ჟერმენი:** ბუფონი, კეჰრერი, ტიაგო სილვა, კიმპემბე, ბერნატი, დანი ალვეში, მარკინიოსი, ვერატი (პარედესი 75), დრაქსლერი, მბაპე, დი მარია (დაგბა 81)

ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო – ოლე გუნარ სოლსკიაერის ხელმძღვანელობით მანჩესტერი წაუგებელი არ იქნებოდა. ალბათ, ამაში თავისი „წვლილი" სწორედ ნორვეგიელმა სპეციალისტმა შეიტანა, რადგან პირველად მისი ხელმძღვანელობით „წითელი ეშმაკები" დაცვაზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე – შეტევაზე.

პარიზელები პირველ ტაიმში „ოლ ტრაფორდზე" ადაპტაციას გადიოდნენ, შესვენების შემდეგ კი, მანჩესტერელები არჩეული სტრატეგიის გამო დასაჯეს. კიმპემბემ და კილიან მბაპემ კარგად შეირგეს ანხელ დი მარიას პასები და საათის თავზე 2 ბურთით დაწინაურდნენ.

ჩამორჩენილი მანჩესტერი კი ცდილობდა სხვაობის შემცირებას, მაგრამ მათი უფერული შეტევები ამისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მატჩის ბოლოს კი, სოლსკიაერის გუნდი მოედანზე კაცნაკლული დარჩა – მსაჯმა პოლ პოგბა გააძევა, რომელიც საპასუხო მატჩში ვერ დაეხმარება.

საბოლოოდ, პსჟ-მ მანჩესტერელთა 11-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა და ეს „ოლდ ტრაფორდზე" მოახერხა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ანხელ დი მარია**

არგენტინელმა ჩინებულად ითამაშა ყოფილი გუნდის წინააღმდეგ. 2 საგოლე პასი და პსჟ მშვიდად ბრუნდება პარიზში. საქმე ისიც არის, რომ დი მარიას სუპერფეხბურთის ჩვენებაში ხელისშემშლელიც არავინ ჰყავდა.

**ოლე გუნარ სოლსკიაერი:**

– ბოლო დროს ასეთი დონის მატჩები ცოტა გვქონდა. წინ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი დამთავრდა. ვეცდებით, მომავალში უკეთ ვითამაშოთ. მაგრამ დღეს პარიზელებმა რეალურ სამყაროში დაგვაბრუნეს.

**ტომას ტუხელი:**

– ვფიქრობ, ჩინებული მატჩი ჩავატარეთ. მაქსიმალურად კონცენტრირებულნი ვიყავით და ბალანსსაც კარგად ვიცავდით. ფრთხილად და აგრესიულად ვმოქმედებდით. პირველ ტაიმში რამდენჯერმე დავკარგეთ ბურთი, მაგრამ შესვენების შემდეგ ვითარება გამოვასწორეთ. ღირსეულად გავიმარჯვეთ. თუმცა, ახლა მხოლოდ შესვენებაა 180 წუთიან დაპირისპირებაში. მიხარია, რომ დი მარიამ კარგად ითამაშა. მეორე გოლის ეპიზოდში მან იდეალური პასი მისცა მბაპეს.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

# გოგა ბითაძე: „უცხოელი კერპები არ მყავს, ქართველ კალათბურთელებზე გავიზარდე"

გოგა ბითაძე პირველად თბილისის ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე გამოჩნდა. მაშინვე ეტყობოდა, რომ დიდი კალათბურთი უნდა ეთამაშა.

გოგა ჯერ მხოლოდ კარიერის სტარტზეა, მაგრამ ისეთი დასაწყისი აქვს, ევროპაში დიდხანს არ გააჩერებენ. მხოლოდ ერთი თამაში ჩაუვარდა – ცსკასთან. სამაგიეროდ, ევროლიგის სხვა გრანდები დაიფრინა.

ახლა გოგა ტრავმირებულია. 20 დღე იუქმებს – ეს ცუდია, მაგრამ ტრავმა სპორტის განუყოფელი ნაწილია. მთავარია, ქრონიკულში არ გადაიზარდოს.

**გოგას ტრავმის მიღებამდე ვესაუბრეთ.**

***– ევროლიგაში მოულოდნელად აღმოჩნდი – მეგა ბიმაქსმა ადრიატიკის ლიგაზე კონკურენტ ბუდოჩნოსტიში გაგანათხოვრა.***

– ევროლიგა კალათბურთში ყველაზე პრესტიჟული ტურნირია და იქ თამაშით უდიდეს გამოცდილებას ვიღებ. თავიდან მეგონა, გამიჭირდებოდა, მაგრამ კარგად ავუღე ალღო. ევროპის უძლიერესი ცენტრების წინააღმდეგ თამაში ერთი სიამოვნებაა. როგორც კალათბურთელი ვიზრდები და ბევრს ვსწავლობ.

***– ბუდუჩნოსტი აუტსაიდერებშია. რა არის ამის მიზეზი?***

– ერთი ის, რომ გამოცდილება გვაკლია, და მეორე, სხვა გუნდებთან შედარებით მწირი ბიუჯეტი გვაქვს. ესეც რომ არ იყოს, რამდენიმე მატჩში აშკარად არ გაგვიმართლა და მოსაგები წავაგეთ. თუნდაც, სტუმრად ბაიერნთან და მაკაბისთან დაპირისპირებები გავიხსენოთ, სადაც მარცხს ნამდვილად არ ვიმსახურებდით.

***– აქვე ადრიატიკის ლიგაზეც ვთქვათ, სადაც პარალელურად მონაწილეობთ. რა არის გუნდის მიზანი?***

– ამ ტურნირზე უკეთესი სატურნირო მდგომარეობა გვაქვს, ვიდრე ევროლიგაზე. ადრიატიკის ლიგა დაბალი დონის შეჯიბრი ნამდვილად არ გახლავთ და იქაც ადვილი თამაშები არ გვაქვს. მიზანი კი, როგორც შარშან, რა თქმა უნდა, წლეულსაც ტურნირის მოგებაა. ახლა 3-4 ადგილზე ვიმყოფებით და მაქსიმუმს გავიღებთ, რათა ჩემპიონის ტიტული დავიცვათ.

***– როგორ მოხდა ბუდუჩნოსტში თქვენი გადასვლა? კონკურენტ გუნდში ტრანსფერი ბევრისთვის მოულოდნელი იყო.***

– ყველაფერი ერთ ღამეში გადაწყდა. დილით აგენტმა ბილეთი დამიდო და მითხრა, რომ ახალ კლუბში მივდიოდი. ამით ალბათ ნაბიჯი უკან არ გადამიდგამს. ბუდუჩნოსტი მეგა ბიმაქსზე ძლიერი გუნდია. უმთავრესი მოტივაცია კი ევროლიგა იყო. იქ მეტ გამოცდილებას შევიძენ, რაც კარიერული წინსვლისთვის უსათუოდ გამომადგება.

***– სერბეთში გულშემატკივრები არ გაგინაწყენდნენ?***

– მეგა ბიმაქსმა ბევრი შემძინა. იქ, როგორც კალათბურთელი, ჩამოვყალიბდი და გუნდის დატოვება ადვილი არ ყოფილა. თანაგუნდელებმა გამიგეს და იმედია გულშემატკივრებიც არ მიწყენენ, რადგან ევროლიგაში თამაში ცოტას არ ნიშნავს. ეს ბევრი კალათბურთელის სურვილია. ამ შანსს ხელიდან ვერ გავუშვებდი.

***– ალბათ დიდხანს არც ბუდუჩნოსტში გაჩერდებით, რადგან თვალი ნბა-სკენ გიჭირავთ.***

– სეზონის ბოლომდე დავრჩები. ევროლიგას და ადრიატიკის ლიგას ვითამაშებ და შემდეგ ძველ გუნდში, მეგა ბიმაქსში დავბრუნდები. ნბა ყველა კალათბურთელის ოცნებაა და ჩემი მიზანიც ეს არის. ზაფხულში დრაფტზე დავდგები, მთავარია, მანამდე ჯანმრთელად დავრჩე და პრობლემები არ შემექმნას. რეჟიმს ვიცავ, თავდაუზოგავად ვვარჯიშობ და მომავალშიც ასე გავაგრძელებ. ბუდუჩნოსტში გადმოსვლაც სწორედ ამიტომ გადავწყვიტე. ევროლიგაზე თამაში უფრო ძლიერ კალათბურთელად ჩამოყალიბებაში დამეხმარება.




***– მოდით, ნაკრებზე გადავერთოთ. როგორ შეაფასებდით მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი გუნდის თამაშს?***

– უპირველესად დიდი მადლობა მინდა გულშემატკივარს გადავუხადო. თბილისში, გადაჭედილ სპორტის სასახლეში თამაში ერთი სიამოვნებაა. ჩვენც, ასეთი მხარდაჭერით შეგულიანებულნი მაქსიმალურად ვცდილობთ ბოლომდე დავიხარჯოთ და ქომაგი გავახაროთ. ხან გამოგვდის, ხან არა, მაგრამ ეს კალათბურთია, სადაც ყოველთვის გამარჯვებული ვერ გამოხვალ. მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი თითქმის აღარ გვაქვს, რაც გულდასაწყვეტია, მაგრამ იმას ნამდვილად ვერავინ იტყვის, რომ ბოლომდე არ ვიხარჯებოდით. იყო მატჩები, სადაც ფატალურად არ გაგვიმართლა, ასევე, ისიც უნდა ითქვას, რომ პირველ ეტაპზე შესუსტებული შემადგენლობით გვიხდებოდა თამაში, რადგან შერმადინი და შენგელია ვერ გვეხმარებოდნენ.

***– იგივე პრობლემის წინაშე ახლა თქვენც აღმოჩნდებით, რადგან ევროლიგაში თამაშის გამო ნაკრებს ველარ დაეხმარებით.***

– ამის გამო გული მწყდება. ეროვნული ნაკრების მაისურით თამაში ჩემთვის დიდი პატივია. დიახ, შესარჩევის დარჩენილ მატჩებში ნაკრებს ველარ დავეხმარები, მაგრამ, მეორე მხრივ, ევროლიგა კიდევ უფრო გამზრდის, რაც სამომავლოდ ნაკრებისთვისაც კარგი უნდა იყოს.

***– წინ 2021 წლის ევრობასკეტის შესარჩევი ეტაპია. როგორ უყურებთ ჩვენი ნაკრების მომავალს?***

– ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ილიას ზუროსი არ მალავს, რომ გუნდს სწორედ ამ შესარჩევისთვის ამზადებს. ნაკრები არაერთმა მაღალი დონის, გამოცდილმა კალათბურთელმა დატოვა, ასეთ დროს კი თაობათა ცვლის პროცესი ყოველთვის მტკივნეულია, მაგრამ ვფიქრობ, ეს გარდამავალი ეტაპი კარგად გადავლახეთ. რაც შეეხება, ახალგაზრდა კალათბურთელებს, ნიჭიერი თაობა იზრდება და მეც მათთან ერთად ყველაფერს ვიზამ ნაკრების წარმატებისთვის.

***– თქვენზე უკვე არაერთი პოპულარული უცხოური გამოცემა წერს და გაქებთ. ეს როგორ მოქმედებს, რა განცდაა?***

– რა თქმა უნდა, სასიამოვნო განცდაა, მაგრამ მაინც ვცდილობ ყურადღება არ მივაქციო. ჩემი მთავარი ამოცანაა ამ ზაფხულისთვის სათანადოდ ვიყო მზად, დავრჩე მოტივირებული და გზიდან არ გადავუხვიო.

***– წარმოიდგენდით, რომ ასეთ ადრეულ ასაკში უკვე ნბა-ში მოხვედრის შანსი გექნებოდათ?***

– თავიდან ამაზე ფიქრიც კი სასაცილოდ მეჩვენებოდა. კალათბურთზე უბრალოდ გასართობად და ზედმეტი ცხიმების დასაწვავად შემიყვანეს. ახლა კი თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ, რადგან ცხოვრება სპორტის ამ სახეობას დავუკავშირე.

***– კალათბურთში თქვენი პირველი ნაბიჯებიც გავახსენოთ.***

– თავიდან ჭადრაკზე დავდიოდი, კალათბურთზე 6 წლის ასაკში მივედი. თავიდან ვარჯიში დინამოში დავიწყე, თუმცა იქ მხოლოდ ერთ თვეს დავრჩი. საკალათბურთო ანბანი კი დავით წიკლაურმა შემასწავლა, რომელიც ჩემი პირველი მწვრთნელი იყო. შემდეგ იყო ჰიუნდაი და ლაშა თოიძე, სადაც ბევრი ვისწავლე. ამასობაში ასაკობრივ ნაკრებშიც გამომიძახეს, იქ კი ნიკო ჩერქეზიშვილთან მომიხდა მუშაობა და ჩემს კალათბურთელად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა. მოგვიანებით იყო ვითა, რომელიც ვითიბი ლიგაში თამაშობდა. პარკეტზე დიდხანს ყოფნა არ მიწევდა, რადგან მაშინ მხოლოდ 16 წლის ვიყავი, მაგრამ გამოცდილება კი მივიღე. ამის შემდეგ კი ჩემმა აგენტმა ლევან მიქელაძემ სერბულ მეგა ბიმაქსს დამაკავშირა, სადაც 4 წელი დავყავი და უდიდესი პროგრესი მქონდა. მინდა ყველა მწვრთნელს მადლობა გადავუხადო.

***– ყველაზე ტკბილ-მწარედ რომელი მატჩები გახსენდებათ?***

– საბერძნეთთან, თბილისში ბოლო წამს განცდილი მარცხი ხანდახან ახლაც კოშმარულად მახსენდება. წარმოუდგენელი რამ მოხდა და ყველამ ძალიან განვიცადეთ. სასიხარულო მატჩებიც ნაკრებს უკავშირდება როგორც ასაკობრივს, ასევე ეროვნულს. ბავშვობაში დონეცკის და თურქეთის ტურნირები მოვიგეთ და მახსოვს, სიხარულისგან ღამეები არ გვეძინა. ისრაელთან ბოლო წამებზე მოგება უდიდესი ბედნიერება იყო.

***– კერპი თუ გყავთ?***

– უცხოელებიდან გამორჩეულად არავინ მიყვარს და არც არავის ვბაძავ. მე ეროვნული ნაკრების თამაშებზე გავიზარდე და სწორედ ისინი იყვნენ ჩემთვის მისაბაძები. ფაჩულია, შერმადინი, შენგელია.

***– კალათბურთის გარდა, სპორტის რომელი სახეობა გიყვართ?***

– მიყვარს რაგბისა და ჩოგბურთის ყურება.

***– თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?***

– მიყვარს კომპიუტერული თამაშები და მეგობრებთან ყოფნა, რომლებიც როგორც სერბეთში, ასევე ჩერნოგორიაში საკმაოდ შევიძინე.

***– რომელი კერძი გიყვართ?***

– ქართულ სამზარეულოს არაფერი ჯობია. საქართველოში ხაჭაპურს, ხინკალს და სხვა კერძებს გეახლებით, თუმცა ვცდილობ, თავი ვაკონტროლო, რათა ზედმეტი წონის პრობლემა არ შემექმნას.

# ლივერპული დე ლიხტსა და ვერნერს ჩაუსაფრდა



ლივერპული მზადაა, აიაქსთან მატიას დე ლიხტის ტრანსფერზე იმუშაოს – ინფორმაციას ბრიტანული მედია ავრცელებს. ამის მთავარი მიზეზი ჯო გომესის გამუდმებული ტრავმიანობაა, რაც იურგენ კლოპს დამატებით თავის ტკივილებს უჩენს.

გომესი გუნდში ვირჯილ ვან დაიკის შემდეგ პირველი მცველია, მაგრამ გამუდმებული ტრავმები მნიშვნელოვნად აფერხებს კლუბისა და ფეხბურთელის ამბიციებს.

ლივერპულის სპორტული დირექტორი მაიკლ ედვარდსი მზადაა კიდევ ერთი მასტერკლასი ჩაატაროს ტრანსფერში, რომლისადმი ინტერესებს იუვენტუსი და ბარსელონაც იჩენენ.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ „წითლები“ ჰოლანდიურ კლუბთან მოლაპარაკებებს 65 მილიონი ევროდან დაიწყებენ.

შეგახსენებთ, რამდენიმე თვის წინ ვან დაიკმა განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში 19 წლის ჰოლანდიის ნაკრების მეწყვილეს აუცილებლად გაესაუბრებოდა.

ედვარდსი და კლოპი დე ლიხტის გარდა ტიმო ვერნერის ტრანსფერზეც იმუშავებენ. ვერნერი, დიდი ალბათობით, ზაფხულში დატოვებს ლაიპციგს და 22 წლის ვერნერი, ლივერპულის საზაფხულო სატრანსფერო ბაზრის ნომერ პირველი სამიზნე იქნება.

მიმდინარე სეზონში ლაიპციგის შემადგენლობაში ვერნერის ანგარიშზე 20 მატჩში 11 გატანილი გოლი და 2 საგოლე პასია.

# რაკიტიჩი და სუარესი ბარსელონადან წასვლის კანდიდატები არიან



ესპანური მედიის ინფორმაციით, ბარსელონა ივან რაკიტიჩისთვის კონტრაქტის გახანგრძლივებას არ აპირებს. ხორვატ ნახევარმცველს გუნდთან კონტრაქტი 2021 წელს ეწურება, „ბლაუგრანას“ შეფები კი მისთვის ახალი ხელშეკრულების შეთავაზებას არ აპირებენ. მეტიც, ესპანურმა გრანდმა ფეხბურთელი შესაძლოა ზაფხულშივე გაყიდოს.

რაკიტიჩს ზაფხულში პსჟ ეპატიჟებოდა, თუმცა ხორვატმა კატალონიური კლუბის დატოვება არ ისურვა. როგორც ირკვევა, ტუხელის გუნდი მის გადაბირებას მომავალ ზაფხულშიც შეეცდება.

რაკიტიჩი ბარსელონაში 2014 წლის ივლისში სევილიადან გადავიდა. ამ დრომდე მან „ბლაუგრანასთან“ ერთად ლა ლიგა (3), ესპანეთის თასი (4), ესპანეთის სუპერთასი (2), ჩემპიონთა ლიგა, უეფას სუპერთასი და მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი მოიგო. მიმდინარე სეზონში ნახევარმცველმა 34 შეხვედრა ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა.

ბარსელონას დატოვებას ურუგვაელი თავდამსხმელი, ლუის სუარესიც განიხილავს.

ურუგვაელს 2 შეთავაზება აქვს: მანჩესტერ იუნაიტედისა და ერთ-ერთი ჩინური გუნდისგან, რომლის სახელიც არ ხმაურდება.

იუნაიტედში სუარესს 3-წლიან პროექტს სთავაზობენ, რომლის შემდეგაც სამხრეთამერიკელი კარიერას დაასრულებს, ჩინური მხარისგან კი, გასაკვირი არაა, რომ შეთავაზების ყველაზე მიმზიდველი პუნქტი ხელფასია. ისინი წლიურად იმდენის გადახდას აპირებენ, რასაც ლუისი მანჩესტერში ვერ მიიღებს.

პრესის ცნობით, სუარესი ფიქრობს, რომ ბარსელონაში მისი დრო ამოიწურა და კატალონიურ გუნდთან ერთად უკვე ყველაფერს მიაღწია, რაც შეეძლო.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# კერძებით უკმაყოფილო სტუმრებმა ქორწილში ნამდვილი დარბევა მოაწყვეს



ინდოეთში ქორწილის სტუმრები ოფიციანტებს თავს დაესხნენ და ნამდვილი დარბევა მოაწყვეს. აღნიშნული ინციდენტის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ვიდეოპორტალმა გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლი კვირას ნიუ-დელის ერთ-ერთ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში იქნა გადაღებული. ვიდეოზე ჩანს, რომ ნასვამი სტუმრები თავს ესხმიან ოფიციანტებს და მათ თეფშებს ესვრიან. ერთი მამაკაცი შეეცადა ძირს დაგდებული ოფიციანტისთვის თავში ლითონის სინი ჩაერტყა, თუმცა ის დროულად შეაჩერეს. ქალები ყველანაირად ცდილობდნენ თავიანთი თანმხლები მამაკაცების შეჩერებას, თუმცა უშედეგოდ.

აღნიშნული არეულობის მიზეზი გახდა ცერემონიის წამყვანის მიერ გამოთქმული უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ კერძი ცივი იყო. სასტუმროს წარმომადგენლებმა თავის მართლება სცადეს და განაცხადეს, რომ კერძები გაგრილდა, სანამ სტუმრები სვამდნენ და მხიარულობდნენ, მაგრამ მათმა ამ არგუმენტებმა სტუმრები კიდევ უფრო გააბრაზა. მათ სამზარეულოში ჭურჭელი დაამსხვრიეს და ოფიციანტებს სცემეს.

ამ არეულობის შედეგად სასტუმროს ოთხი თანამშრომელი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. სასტუმროს მფლობელები კი სტუმრების საქციელთან დაკავშირებით საჩივრის დაწერას აპირებენ.

# ნარკომანებმა მიტოვებულ სახლში ვეფხვი აღმოაჩინეს



აშშ-ში ნარკომანებმა მიტოვებულ სახლში ვეფხვი აღმოაჩინეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი საინფორმაციო პორტალი ავრცელებს.

ინციდენტი ტეხასის შტატის ქალაქ ჰიუსტონში მოხდა. რამდენიმე მამაკაცმა მიტოვებული სახლის ავტოფარეხში შეაღწია, რათა ნარკოტიკები მოეხმარათ და იქ გალიაში დამწყვდეული ვეფხვი აღმოაჩინეს.

თვითმხილველებმა ადგილობრივ ცხოველთა თავშესაფარში დარეკეს. თავის მხრივ კი, მისი თანამშრომლები პოლიციას დაუკავშირდნენ. ხელისუფლების მონაცემებით, ავტოფარეხის კარი სახრახნისის და ნეილონის ქამრის გამოყენებით იყო ჩაკეტილი.

როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები იტყობინებიან, პატარა გალიაში წარბჭონიანი, სავარაუდოდ, 160 კილოგრამიანი ვეფხვი იყო მოთავსებული. მოგვიანებით ცხოველთა თავშესაფრის თანამშრომლებმა იქვე, შორიახლოს ყუთები აღმოაჩინეს, რომლებშიც ხორცის ნაჭრები ეწყო. აქედან გამომდინარე მათ დაასკვნეს, რომ მისი პატრონი დროდადრო ცხოველს საკვებს აძლევდა.

მტაცებელი ცხოველი დააძინეს და ცხოველთა თავშესაფარში გადაიყვანეს. მოგვიანებით კი ადგილობრივი საქველმოქმედო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ჰაიდი კრანმა ვეფხვი საგანგებო დაწესებულებაში მოათავსა, სადაც ეგზოტიკურ ცხოველებს სათანადო მოვლა-პატრონობით უზრუნველყოფენ.

# აფრიკაში 100 წლის მანძილზე პირველად დააფიქსირეს შავი ლეოპარდი

კენიაში ფოტოგრაფმა ნატურალისტმა პანტერას უიშვიათესი სახეობა შავი ლეოპარდი დააფიქსირა.

უილ ბერარ-ლუკასის მტკიცებით, მას ბავშვობიდან სურდა ამ ცხოველის ხილვა. როდესაც მან მიიღო შეტყობინება, რომ ლეოპარდი კენიის ლაიკიპიას საგრაფოში შენიშნეს, ის თანამშრომლობაზე შეუთანხმდა სან-დიეგოს ზოოპარკის მეცნიერ-თანამშრომელს და იმ რაიონში ექსპედიციაში გაემგზავრა.

მან რამდენიმე ფოტოხაფანგი განათავსა და ტექნიკა იქ რამდენიმე დღით დატოვა. უკან დაბრუნებულმა მიღებული კადრები დაათვალიერა და საკუთარ თვალებს არ დაუჯერა.

– რამდენიმე დღე გახდა საჭირო იმის გასათავისებლად, რომ საკუთარი ოცნება ავიხდინე, – განაცხადა ფოტოგრაფმა.



ლეოპარდის შავი შეფერილობა უიშვიათესი გენური მუტაციაა, ალბინიზმის საწინააღმდეგო. ბოლოს შავი ლეოპარდის ფოტოსურათი 1909 წელსაა გადაღებული.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ასტროპროგნოზი

## 14 თებერვლისთვის



**ვერძი** – მძიმე დღეა, განსაკუთრებით მატერიალური კუთხით. ბედი გამოცდას გიწყობთ. ნებისყოფა მოიკრიბეთ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა. ფინანსურად ძლიერდებით და ყველაფერი იოლად გამოგდით. **ტყუპები** – ვიღაც დაუფარავად ცდილობს თქვენს გაცურებას. იფხიზლეთ, თაღლითების ანკესს ნუ წამოეგებით. **კირჩხიბი** – დასამახსოვრებელი დღეა. ცხოვრებაში კორექტივები შეგაქვთ. აგიმაღლდებათ შრომის ნაყოფიერება. **ლომი** – სხვების გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ პრინციპებს პატივი ეცით. მიხედეთ პირად ცხოვრებას. **ქალწული** – საქმიანი კონტაქტები წარმატებული იქნება. იყავით დამოუკიდებელი. **სასწორი** – ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ერიდეთ კონფლიქტს საყვარელ ადამიანთან. **ღრიანკალი** – წინდაუხედაობა არასასურველ შედეგამდე მიგიყვანთ. დაფიქრდით, სანამ რამეს გადაწყვეტთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერი კომერციული ოპერაცია სასიკეთოდ დასრულდება. გელით მატერიალური კეთილდღეობა. **თხის რქა** – პირადი ცხოვრების მოწყობაში პლანეტები გეხმარებიან. ძალზე იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **მერწყული** – ეცადეთ, წვრილმანი კამათი თავიდან აირიდოთ. უმჯობესია, თუ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას დღესვე დაიწყებთ. **თევზები** – რთული დღეა. ემოციურად დათრგუნული ხართ. განმარტოვდით და ენერგია მოიკრიბეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სუმოისტთა ტურნირი იაპონიაში; 2. მდინარე ციმბირში; 3. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 4. ღამის ფრინველი; 5. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 6. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 7. უბანი ძველ თბილისში; 10. დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. სასტუმრო ავტოტურისტებისთვის; 13. წყლის ფრინველი; 16. მონასტერი ხულოს რაიონში; 15. იმპრესიონიზმის ფუძემდებელი ფრანგი მხატვარი; 19. სპარსელი პოეტი; 21. რაჭასა და ლეჩხუმში გავრცელებული დიდი საწნახელი; 24. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი.

**თარაზულად:** 1. ბარსელონას ძველი სახელწოდება; 3. შამფურზე შემწვარი, სუნელებით შეზავებული დაკეპილი ხორცის მოგრძო გუნდა; 8. აქსენტი ცაგარელის პიესა; 9. საცხოვრებელი კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 14. საქართველოში მოღვაწე მე-20 საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი, არქეოლოგი; 15. იტალიური მსუბუქი ავტომობილი; 17. ჭადრაკის ფიგურა; 20. ნაბეჭდი ტექსტის საზომი ერთეული; 22. მდინარე გერმანია-პოლონეთის საზღვარზე; 23. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 25. მუხის ნაყოფი; 26. ხოხბის, გნოლის, კაკბის ბარტყი; 27. ცხვრის ქონიანი კუდი; 28. ტუნისის ჩრდილოეთში მდებარე უძველესი მონათმფლობელური სახელმწიფო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ვიში; 2. ვერდი; 3. მთიები; 5. ომალო; 6. ჩუქურთმა; 8. ცისარტყელა; 10. ჭიკარტი; 12. რეკლამა; 14. მოსტრა15. რეგატა; 16. გუაში.

**თარაზულად**: 1. ვლტავა; 4. მოდრიჩი; 7. ხორუმი; 9. ბარონი; 11. ესენცია; 12. რექვიემი; 13. კაბუკი; 17. სკოპიე; 18. ლემა; 19. ამპლიტუდა; 20. საფიჩხია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ბუკე; 2. ომი; 3. ბოროდინი; 4. შუ; 5. ცუცხვათი; 6. პელე; 7. ციპრასი; 10. მესი; 11. ბალახვანი; 12. კაპიტანი; 13. ჯაზი; 16. სტამბა; 18. ქორწილი; 19. შტანგა; 21. რაგბი; 24. მახრა.

**თარაზულად**: 1. ბაჯაღლო; 3. ბეკეში; 8. თუშეთი; 9. კომო; 14. ასთმა; 15. საცივი; 17. პუფი; 20. ნახირი; 22. თქორი; 23. ტატამი; 25. კიი; 26. მოლა; 27. მწდე; 28. ხორნაბუჯი.

# ჩვილმა ბავშვმა კანალიზაციაში რამდენიმე საათი გაატარა და გადარჩა



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ახლად დაბადებულმა ბავშვმა რამდენიმე საათი გაატარა სანიაღვრე კანალიზაციაში და სასწაულებრივად გადარჩა.

ინციდენტი კვაზულუ-ნატალის პროვინციის ქალაქ დურბანში მოხდა. ადგილობრივი მკვიდრი აირონ ლავდეილი ქუჩაში კანალიზაციის გასწვრივ მიდიოდა, როდესაც ბავშვის ტირილი შემოესმა. თავიდან მას ის კატის კნუტის კნავილად მოეჩვენა. აირონი შეეცადა დაედგინა ის ადგილი, საიდანაც ხმა მოდიოდა, თავი ახადა საკანალიზაციო ჭას, შიგნით ჩაიხედა და ახლად დაბადებული გოგონა შენიშნა.

ლავდეილმა მომხდარის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს აცნობა. შემთხვევის ადგილზე რამდენიმე სამაშველო ჯგუფი მივიდა, მათ შორის მეტროპოლიტენის, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ჯგუფები და პოლიციის წარმომადგენლები. ბავშვის გადარჩენის ოპერაცია სამ საათს გაგრძელდა.

— ჩვენ ორმეტრიანი არხის გაჭრა მოგვიხდა მიწისმთხრელი მანქანის დახმარებით, შემდეგ გავტეხეთ მილები, რათა ჩვილი ბავშვი კანალიზაციიდან ამოგვეყვანა, — განაცხადა სამაშველო სამსახურის თანამშრომელმა. საბოლოოდ გოგონა კანალიზაციიდან მშვიდობიანად ამოიყვანეს და ექიმებს გადასცეს.

ექიმებმა ჩვილი გოგონა გასინჯეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად. ჯერჯერობით უცნობია ბავშვის მშობლების ვინაობა და ის, თუ როგორ აღმოჩნდა სანიაღვრე კანალიზაციაში.

# გოგონას ზომბი-თოჯინა შეუყვარდა და ცოლად გაჰყვა



აშშ-ის მცხოვრებ გოგონას შეუყვარდა და შემდეგ ცოლად გაჰყვა ზომბი-თოჯინას.

ოკლაჰომას შტატის ქალაქ ვინიტას მცხოვრები ფილისიტი კადლეცი ბავშვობიდან გატაცებული იყო საშინელებათა ფილმებით და ზომბებით. 13 წლის ასაკში მან მამისგან საჩუქრად ზომბი-თოჯინა, სახელად კელი მიიღო. სამი წლის შემდეგ გოგონას მის მიმართ გრძნობები გაუჩნდა, თუმცა ის ყველანაირად ცდილობდა ეს გრძნობა საკუთარ თავში დაეთრგუნა.

2018 წელს 20 წლის კადლეცმა მამა დაკარგა. მშობლის დაკარგვა მის ცხოვრებაში გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა. მან შვება კელისთან თამაშში ჰპოვა, ვინაიდან მამის მიერ ნაჩუქარ თოჯინას მისთვის დადებითი ემოციები მოჰქონდა.

— ბოლოს და ბოლოს საკუთარ თავს უფლება მივეცი, გახსნილიყო და ისეთი გამოჩენილიყო, როგორიც სინამდვილეში არის. საკუთარ თავს იმ ემოციების უფლება მივეცი, რომელსაც შინაგანად განვიცდიდი. მიუხედავად იმისა, რომ გარშემომყოფნი ამას გაგებით ვერ ხვდებიან, ახლა თავს ბედნიერად ვგრძნობ, — აღიარა გოგონამ, — მე ვიცოდი, რომ ჩვენ დავქორწინდებოდით და ამისთვის შესაფერის დროს ვუცდიდი.

კადლეცის თქმით, მას არ აშინებს თოჯინას საშინელი სახე. მან საქორწინო ცერემონიას გაუკეთა ორგანიზება და შეეცადა, რომ ის მაქსიმალურად დამსგავსებოდა ოფიციალურ ცერემონიას. სიძის როლს თოჯინა კელი ასრულებდა, რომელიც, გოგონას მტკიცებით, ამჟამად 37 წლისაა.

„ქორწილი“ ქალაქ ტივერტონში რვა თოჯინისა და ოჯახის ოთხი მეგობრის გარემოცვაში გაიმართა. ამ ღონისძიების ღირებულებამ 500 დოლარი შეადგინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# სამგლოვიარო განცხადებები

## გიორგი-გეგი კვიციანი



გარდაცვალებიდან წელიწადი გავიდა, აუხსნელი ტკივილია უშენობა, ღირსებით სავსე ვაჟკაცო, ასობით ადამიანი დაგტიროდა. მეცოდებიან შენი ბებიები, მშობლები, დედმამიშვილები, შენი მეუღლე მარი, შვილები გიორგი, კატო — სიყვარულით სავსე თქვენი ლამაზი ოჯახი. გარდაცვალების ღამეს ვნახე ანგელოზების გუნდი, ვიცი, უფალთან ხარ... ორხევის წმიდა ნინოს სახელობის ტაძრიდან წინამძღვარმა მამა მელქისედეკმა გამოგაცილა, გლოვის ზარები დარეკა, ისმოდა სვანური ზარი... მამა გიორგიმ საკმევლის კმევით ქუჩის ბოლომდე ჩაგაცილა.

მადლობა მათ, მადლობა შენს მეგობარ გოგო-ბიჭებს.

ხოჩა შვანაშ. ხოჩა კვიციანრე, ხოჩა მარე, უშდნა, ნიშგე გეგი.

ბიძაშვილი თამარ კვიციანი

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# სოსო პავლიაშვილმა ახალი სიმღერა ქალბატონებს მიუძღვნა



მომღერალმა სოსო პავლიაშვილმა ახალი სიმღერა დაწერა და ის ქალბატონებს მიუძღვნა.

„შენთვის“ — ასე ჰქვია სიმღერას, რომელზეც მომღერალმა ვიდეოკლიპიც გადაიღო. ანიმაციური ვიდეორგოლი ცნობილი რეჟისორის რობერტ სააკიანცის შვილებმა, ძმებმა დევიდ და აიკ სააკიანცებმა შექმნეს.

სიმღერის ავტორი სოსო პავლიაშვილია, ტექსტი კი ვასილი ტკაჩუკმა დაწერა. ვიდეორგოლის ნახვა 18 წლამდე მაყურებლისთვის აკრძალულია. მისი სიუჟეტი ადამის და ევას ცხოვრებიდან იწყება და დღევანდელობით სრულდება.

მომღერლის ვიდეოკლიპი ინტერნეტში გავრცელდა და მას უამრავი მოწონება, გაზიარება და დადებითი კომენტარი აქვს.

სოსო პავლიაშვილი:

— სიმღერაც და ვიდეორგოლიც კეთილი, სულიერი და დინამიურია. როგორც ჩემი სიმღერების უმრავლესობა, ესეც ქალბატონებს და მათთვის კარგი განწყობის შექმნას მივუძღვენი. ძვირფასო ქალბატონებო, ქალებო, გოგონებო, ჩვენ ყოველთვის ვიცხოვრეთ, ვცხოვრობთ და მომავალშიც ვიცხოვრებთ მხოლოდ თქვენთვის და თქვენი ბედნიერებისთვის. ეს ჩვენი, მამაკაცების მთავარი დანიშნულებაა.

# პეტრე კოლხი: „შვილის ყოლა არ არის მთავარი, მთავარია მისი აღზრდა“



პოეტი და სასულიერო პირი პეტრე კოლხი საქართველოში მოზარდებში მომრავლებულ თვითმკვლელობებზე წუხს:

— ამ პატარა ქვეყანაში ამდენი თვითმკვლელობა, რომელიც ყოველდღიურად იზრდება, საგანგაშოა. განსაკუთრებით მოზარდებში, რაც მატერიალური მდგომარეობით ნაკლებად არის გამოწვეული. აბსოლუტურ ნიჰილიზმში იმყოფებიან. მათთვის თითქოს არავის სცალია. უყურადღებობის შედეგად კი გულგრილები, ცხოვრებასთან ზურგშექცეულები ხდებიან.

მათ ასეთ ჩამოყალიბებაში ჩვენ ვიღებთ მონაწილეობას. ორი უკიდურესობა გვახასიათებს. ან ყველაფერს ვუკრძალავთ და გამოკეტილი გვყავს, ან ყველაფრის უფლებას ვაძლევთ.

შვილის ყოლა არ არის მთავარი, მთავარია მისი აღზრდა და ჯანსაღად ჩამოყალიბება.

საბოლოოდ უნდა მოეღოს ბოლო იდიოტურ სტერეოტიპებს, რომ ბიჭმა არ უნდა იტიროს, გოგომ ბიჭს უნდა დაუთმოს...

რაც არ უნდა მტკივნეული იყოს, შვილებს მეტად ეტყობათ განვითარება, ვიდრე მშობლებს.

ხშირად მოზარდს პიროვნებად არ თვლიან და არც კითხულობენ, რამე აწუხებს თუ არა...

არადა, რამდენჯერაც მშობლებს კონფლიქტი აქვთ, შვილები იმდენჯერ კვდებიან... მათ უქრებათ სიცოცხლის სურვილი...

მოზარდები ბევრად მეტს ამჩნევენ, ვიდრე უფროსები...

ნუ შევუწყობთ ხელს მათ გაუცხოებას!..

# ლელა წურწუმია 50 წლის გახდა



მომღერალი ლელა წურწუმია 50 წლის გახდა. დაბადების დღე პირველებმა ოჯახის წევრებმა და უახლოესმა მეგობრებმა მიულოცეს.

იუბილარ ლელას გულის ფორმის ბუშტებით, ტორტით და ულამაზესი თაიგულით მიადგნენ სახლში და დაბადების დღე ცნობილი სადაბადებისდღეო სიმღერით მიულოცეს.

იუბილარმა მომღერალმა გულითადი მილოცვები სოციალურ ქსელშიც მრავლად მიიღო, რისთვისაც იგი უზომოდ მადლობელია:

— ყველას ძალიან დიდი მადლობა მოლოცვისთვის, თითოეული კომენტარისთვის, იმ სითბოსა და სიყვარულისთვის, რომელსაც მჩუქნით! მადლობა ჩემს მეგობრებს, ნათესავებს, მეზობლებს, მსმენელებს, რომლებმაც არ დაიზარეს და მომილოცეს ჩემთვის ძვირფასი დღე. 50 წლის გავხდი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# როგორ აღვნიშნოთ ვალენტინობა




14 თებერვალი წმინდა ვალენტინის დღეა, რომელსაც შეყვარებულების მფარველად მიიჩნევენ.

წმინდა ვალენტინის დღესასწაული მსოფლიოს მასშტაბით უამრავი წყვილისთვის ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. ბევრისთვის ვალენტინობა ვარდებთან, შოკოლადთან და რომანტიკულ ვახშამთან ასოცირდება. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. შეგიძლიათ შეყვარებულების დღე ორიგინალურადაც აღნიშნოთ. გთავაზობთ რამდენიმე რჩევას:

თქვენ მეორე ნახევარს შეგიძლიათ მასაჟი გაუკეთოთ. ეს თქვენც და მასაც განტვირთვაში დაგეხმარებათ და მთელი საღამოს განმავლობაში საუკეთესო ხასიათზე იქნებით.

ერთად ცეკვა ძალიან რომანტიკულია. თქვენ უნდა მოკიდოთ ერთმანეთს ხელი და ერთად იმოძრაოთ. ეს თქვენს გრძნობას კიდევ უფრო გაამძაფრებს.

ერთად მოამზადეთ ვახშამი. საღამოს კი სამზარეულოდან მისაღებ ოთახში გადაინაცვლეთ და დატკბით თქვენი კულინარიული შესაძლებლობებით.

ხანდახან რომანტიკა სახლის ზღურბლს იქით იწყება. ამისათვის ყველაზე შესაფერისი ადგილი სასტუმროს ნომერია, სადაც ვალენტინობის ღამეს თქვენს რჩეულთან ერთად გაატარებთ.

შეეცადეთ თქვენს რჩეულს ლექსი დაუწეროთ. თუ ეს არ გამოგივათ, მაშინ მას უბრალოდ თქვენი საყვარელი ავტორების სასიყვარულო ლექსები წაუკითხეთ.

სუფთა ჰაერზე გასეირნება და ბუნებაში განმარტოვება თქვენს გრძნობებს განაახლებს და დადებითი ენერგიით დაგტვირთავთ.

შეარჩიეთ რომანტიკული სპექტაკლი და თქვენს პარტნიორთან ერთად ეწვიეთ თეატრს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


14 თებერვლისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6442

ევრო — 2.9832

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3989

100 რუსული რუბლი — 4.0308

## ამინდის პროგნოზი 1 თებერვლისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

**5 თებერვლიდან**

ჰენრი რაიდერ ჰაგარდი

**მონტესუმას ასული**




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**12 თებერვლიდან**

სულხან საბა ორბელიანი

**სიბრძნე სიცრუისა**




**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**

## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

**15 თებერვლიდან**

გუსტავ ფლობერი

**მადამ ბოვარი**




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**14 თებერვლიდან**




ავთანდილ ბუხრაშვილი

**ქალი ჩანთაში**

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**


## იუმორი

ქუჩაში კაცი ქალს ეუბნება:

– უკნიდან რა მაგრად გამოიყურები.

– მადლობა.

– რისი მადლობა, შეტრიალდი.

●●●

კაცი ხელოსანს ეკითხება:

– რამდენ ხანში შეძლებთ ამის გაკეთებას?

– ერთ საათში ერთი კვირის განმავლობაში.

●●●

მოსამართლე ქალს ეუბნება:

– თუ შეიძლება მოგვიყევით, როგორ მოხდა თქვენი გაუპატიურება?

– ძალიან ცუდად! პირდაპირ, ეს გაუპატიურება კი არა, ტანჯვა-წვალება იყო!

●●●

ქალი ნათესავს ეუბნება:

– გუშინ თითქმის მთელი დღე ვცდილობდი, რომ ჩემი კატისთვის გიტარაზე დაკვრა მესწავლებინა, მაგრამ არაფერი გამოვიდა, როგორც ჩანს, უტვინოა!

– და დარწმუნებული ხარ, რომ პრობლემა კატაშია?

●●●

შვილი დედას ეკითხება:

– დედიკო, ადამიანი უკბილოდ გადარჩება?

– ადამიანი კი, აი მამაშენი კი, ვერა.

– რატომ?

– კბილის ექიმია და იმიტომ.

●●●

ბავშვი დედას ეკითხება:

– დედიკო, ვინ არის მამაჩემი?

– თოვლის პაპა, შვილო.

– ეგ როგორ?

– როგორ და... მოვიდა ღამით, დამასაჩუქრა და იმის მერე აღარ გამოჩენილა.

●●●

ადვოკატთან მამაკაცი მივიდა, მაგიდაზე ფურცლების შეკვრა დაუდო და ეუბნება:

– აი, ეს არის საქმე ლევანი გივის წინააღმდეგ! მოკიდებთ ხელს?

ადვოკატმა ფურცლებს გადახედა, შემდეგ ფეხზე წამოდგა, ხელი მაგრად ჩამოართვა და ეუბნება:

– გილოცავთ ბატონო ლევან! კანონი თქვენ მხარესაა!

– რაა? მე ლევანი კი არ გივი ვარ!

– არ ინერვიულოთ, ბატონო გივი! სასამართლო პრაქტიკა თქვენს მხარესაა!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კილიან მბაპე: „ფრანგულმა გუნდებმა შიში უნდა დაძლიონ“



პსჟ-ს ფორვარდმა კილიან მბაპემ განაცხადა რომ ფრანგულმა გუნდებმა ევროპაში თამაშის შიში უნდა დაძლიონ და ეს მხოლოდ პსჟ-ს არ ეხება.

მბაპეს აზრით, ლიონს შეუძლია ბარსელონას დამარცხება, თუ ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ არ მოექცევა და მოედანზე შიშით არ გამოვა.

– დღეს ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლია და არაფერი გვაშინებს. იმედია, ამას ლიონიც გააკეთებს და ჩვენ მას ვუგულშემატკივრებთ. დროა, რომ ფრანგულმა კლუბებმა ჩემპიონთა ლიგაში თავიანთი სიტყვა თქვან, – განაცხადა კილიან მბაპემ.

## ალვარო არბელოა: „მინდა, რომ ბარსელონა ყოველთვის დამარცხდეს“



რეალის ყოფილმა ფეხბურთელმა ალვარო არბელოამ ბარსელონაზე ისაუბრა და თქვა, რომ ამ გუნდს ყოველთვის წაგებას უსურვებს.

არბელოამ ასევე აღნიშნა, რომ მესის თამაშით ის სიამოვნებას ვერ იღებს, თუმცა აღიარა, რომ მესი უდიდესი ფეხბურთელია:

– ბარსელონას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უბრალოდ, მისი წაგებები რეალისთვის ხშირად სასარგებლოა, ამიტომ ვისურვებდი, რომ ის ხშირად მარცხდებოდეს. ჩემთვის რეალი ყოველთვის პირველ ადგილზეა.

## რემზიმ არსენალის ფანებს მიმართა

აარონ რემზიმ იუვენტუსთან კონტრაქტი გააფორმა და ზაფხულში ის ტურინელებს შეუერთდება. რემზიმ თავის ტვიტერზე არსენალის ფანებს მადლობა გადაუხადა და თქვა, რომ ეს გუნდი ყოველთვის იქნება მის გულში.

„არსენალში 11 წელიწადი გავატარე და ყოველთვის ვგრძნობდი მხარდაჭერას როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ. სეზონის ბოლომდე არსენალში ვარ და ამ გუნდისთვის ბოლომდე დავიხარჯები. მე თქვენ არასოდეს დამავიწყდებით“ – დაწერა რემზიმ.



**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ბიძაშვილებმა ლატარიაში რიგრიგობით მოიგეს მსხვილი თანხა



ამერიკის მონტანას შტატის მკვიდრმა ქალბატონმა ლატარიაში მსხვილი თანხა მისი ბიძაშვილის მოგებიდან რამდენიმე თვეში მოიგო.

დებრა პერიში ამტკიცებს, რომ ის 30 წელია ლატარიას თამაშობს. მისი თქმით, გასულ კვირას ლატარიის ბილეთის შეძენის წინ გრძნობდა, რომ გაუმართლებდა. ის მართალი აღმოჩნდა, მისმა მოგებამ 17,589 დოლარი შეადგინა.

რვა თვის წინ მისმა ბიძაშვილმა იმავე ლატარიაში გაიმარჯვა.

– ძალიან გამიხარდა, როდესაც მან მოიგო. ახლა კი ჩემი ჯერი დადგა, – განაცხადა ქალმა. თანხის ნაწილით თავისი გოგონასთვის საჩუქრების ყიდვას აპირებს, ხოლო დანარჩენს სამომავლოდ შეინახავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპილოებმა ავტობუსს გზა გადაუღობეს



ინდოეთში რამდენიმე სპილომ ავტობუსს გზა გადაუღობა და მისი მგზავრები შეაშინა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა პორტალმა გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლი ავტობუსის ერთ-ერთმა მგზავრმა ქვეყნის სამხრეთში ტამილნადის შტატში გადაიღო. ვიდეოზე ორი სპილო გზაზე ავტობუსის შემხვედრი მიმართულებით მოძრაობს, მოგვიანებით კი კიდევ ერთი სპილო, დანარჩენ ორზე უფრო დიდი ზომის, მახლობელი ბუჩქებიდან ასევე გზაზე გამოდის. ამ დროს მძღოლი მანქანას აჩერებს და ფანჯარას ხურავს.

ავტობუსის სალონში პანიკა იწყება, რამდენიმე მგზავრი ავტობუსის შემობრუნებას ითხოვს, თუმცა მძღოლი მათ არწმუნებს, რომ საშიში არაფერია. ამ დროს სპილოები ავტობუსთან მიდიან, ერთ-ერთი ხორთუმს ფანჯარასთან წევს და მუქარის შემცველ ხმას გამოსცემს. მალე ცხოველები უკან ბრუნდებიან, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ ბუჩქნარში უჩინარდებიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პატიმრობა ძალიან მკაცრ პირობებში; 2. პირველი ქართველი მეტალურგი ქალი; 3. ციური სხეული; 5. ტყვედ წაყვანილი ქართველებისგან შემდგარი ჯარი ოსმალეთში; 7. ქალაქი-მუზეუმი იტალიაში; 9. კანონებში არსებული შეუსაბამობა; 13. სიცილიური სადესერტო ღვინო; 15. კონტინენტებს შორის მოქცეული წყლის დიდი სივრცე; 16. შვეიცარიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ნორვეგიელი კომპოზიტორი.

**თარაზულად:** 4. საბილიარდოს მომსახურე პირი; 6. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 8. დანიის დედაქალაქი; 10. რომელიმე აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი; 11. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 12. ძველი ბერძენი მოქანდაკე, სკულპტურა „ბადროს მტყორცნელის“ ავტორი; 14. მდინარეზე, ხეობაზე გაყვანილი, ბაგირებზე დაკიდებული საცალფეხო ხიდი; 17. ჩქარტემპიანი ჩეხური ცეკვა; 19. ოპერა „ატილას“ კომპოზიტორი; 20. დანადგარი, რომელშიც ხორციელდება ატომგულის გაყოფის ჯაჭვური რეაქცია; 21. ერთხმიანი სიმღერა ოპერაში; 22. სამძებრო პოლიციის აგენტი; 23. შიიტთა უმაღლესი სასულიერო პირი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

